

დარტულური

საქართველო



ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

29 მარტი 2024 ვ. № 4 (4082) გამოცემის 93-ე ველი ვასი 2 ლარი

ნოტ ქათათელაძე

ნაზრობი

ვინც საზღვრებს კეტავს –
საზღვრებს უარყოფს,
ვინც აღებს საზღვრებს –
უარყოფს ისიც...
თავისუფალი ნების მსახურებს
თან დასდევთ მუდამ საზღვრების შიში.
უცნაურია შიშის სათავე,
ვით გადაფრენა პანია ჩიტის.
ჩიტის საზღვარი ფრთებია მხოლოდ,
ფრთებია მისთვის დარდიც და იჭვიც;
ამ ფრთებით უტევს ღვთიურ სიმშვიდეს,
ადამიანთა ცოორმას და ყიუინს...
საზღვარს, რომელსაც საზღვრით მართავენ,
უსაზღვროებით საზრდოობს მიწივ.
მხოლოდ და მხოლოდ,
მხოლოდ და მხოლოდ
ერთი ნაგლეჯი სამშობლო მიწის
დუმილით გავსებს,
გავსებს სიამით
და რატომ გავსებს, არავინ იცის. –
როს მაღალ მთიდან
საზღვრების მიღმა
საზღვრების თასმა ეხვევა მზის სხივს
და წართმეული საზღვრის ზმანება
გესობა მკერდში –
ვეება ხინვი...
და მხოლოდ დამედ
ტკივილად, ზაფრად
და სიყვარულად
ცეცხლივით იწვის
უსაზღვროება,
საზღვრებს რომ გასცდა,
უსაზღვროება –
პოეტის ნიჭი.



სისახულის დაგრენეა საქართველოში

2024 წლის 26 მარტი. ამ თარიღს იქროს ასოებით ჩანერენ ჩვენი სპორტული და საზოგადოებრივი ცხოვრების მემატიანები.

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა, პირველად 30-წლიანი დამოუკიდებლობის ისტორიაში, მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის საგზური.

გადამწყვეტი მატერი „დინამო-არენაზე“ გაიმართა. ჩვენი მეტოქე საბერძნების ნაკრები იყო. 120-წლიანმა უშედავათო ბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. პენალტების სერიაში ჩვენმა ბიჭებმა იმარჯვეს – 4:2.

ენა ვერ აღნერს იმას, რაც იმ ღამეს თბილიში ხდებოდა. თურმე როგორ გვაერთიანებს ჩვენი ქვეყნის ნარმატება, როგორ გვახარებს საერთო გამარჯვება, როგორ გვაკეთილშობილებს ეროვნული სიამაყის შეგრძნება.

ეს არის გმირობა, რომლის შემოქმედი არიან საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელები და მწვრთნელი – ვილი სანიოლი.

მადლობა მათ ამისთვის.

და კიდევ იმისთვის, რომ სიხარული დაბრუნებული საქართველოში.

გას სახეება

ნუგზარ შატაბედი – 80

კურივი მართალი


ვიხსენებთ მწერალს, რომელიც ყოველთვის გვახსისებს.

წელს ოთხმოცის გახდებოდა ნუგზარ შატაბედი – საუცხოო მესიტყველი, მართალი შემოქმედი, ვაჟა-ფაფობისა და სიკვარულის მქადაგებელი.

მცირე ფორმის ისტატი იყო და შეეძლო დიდი ხსაიათებისა და იდეების გადმოცემა. პატარა, შეუმრნეველი ამბავი მის ხელში გულიან, გრძელიათა მომგვრელ სიუჟეტად იძერწებოდა. რასაც ხელს შეახებდა, ყველაფერს ოქროდ აქცევდა. ბუნებით მსატვარი იყო და ყველაფერს თავისი კილორით აფერადებდა. სიტყვა იყო მისი შემოქმედების მთავარი გმრი. იცოდა სიტყვის ალქიმია. შეეძლო საგნები ისე აღეწერა, რომ შენამდე მოეტანა არა მარტო მათი შინაარსი, არამედ ფორმა, ფერი, ხმა. ეს ნიჭი მაპა-პაპათაგან მოსდგამდა, იმათვან ჰქონდა ნაანდერძევი, ნასწავლი, შეთვისებული. თვალის ჩინოვით უფრთხოლდებოდა თითოეულ სიტყვას, რადგან იცოდა, რომ სიტყვა მარტო ბერები კი არ არის, არამედ ეს არის საგანი, წინაპართა ცხოვრების ანარეკლი, მათი კურთხეული სულის გამონაშექი, ეროვნული ყოფიერების საფუძველი.

გულისტიკივილით უყურებდა, თანდათან როგორ ქრებოდნენ ძველები და მათთან ერთად სიტყვებიც, რომლებიც აღნიშნავდნენ უფუნქციონ დარჩენილ, უქმად დაყრილ საგნებს.

ამ ტკივილმა დააბერინა „პურის მოთხოვობა“ – ქართულ პროზის შედევრი, ნარსულის ნოსტალგიური სიმფონია. მან გააცოცხლა დრო, როდესაც პური ადამიანებისთვის ლვთაებასავით წმინდა იყო, როცა



ხენა-თესვა და მოსავლის მოყვანა საუფლო საქმედ იყო მიჩნეული, როცა შრომა ზეგობრივად წერთნიდა ადამიანებს. „ისნი, რასანია, ნასულყვნენ, – წერდა ნუგზარი თავის წინაპრებზე, – სათოად გაკრეილიყვნენ და თან წაელოთ დაკოურილი, მაგრამ მაინც რბილი და ალერსიანი ხელები, მტკიცინი სახსრები, შუქდაკლებული თვალები, გატეხლი გულები. მათთან ერთად გამქრალიყო კალო და კევრი, ხარი და გუთანი, ტაპიკი და აპულური. განელებულიყო ფერის ამბრისა და ჰურის კიდების სურნელი, დავინცებას მისცემოდა უამრავი სიტყვაც...“

ძალიან განიცდიდა იმას, რომ ქართველი კაცი მოსწყდა დებბუნებას, გალარიბდა მისი სული, გალარიბდა მისი ენა, ფიქრი, ფანტაზია. თუმცა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დარღვეული ჰარმონია როგორმე აღდგენილიყო და განვითარებულიყო. ამის დასტურია მისი ნათელი, შინაარსიანი პროზა, მისი მოთხოვობი, მისი წიგნები:

„მოლხინი“ (1986), „სოფლის დელი სახლი“ (1990), „ელიქარი“ (1996), „ხელეური“ (1998), „ნოემბრის წვიმა“ (2004), „ევროპაში რა მინდოდა“ (2005), „ტრამვაი 7“ (2007) და სხვა, გულის ლარიბან მომდინარე, დაუკინარებები.

► თემის განვითარება გვ. 3

ივანე ჯავახიშვილი - ფოტოგრაფი



ზურაბ გაიგარაშვილი

მოგზაურის ჩანახები



ნინია საზღვრებლივი

„რეანითობის მფევანი“



ემზარებიშვილი

მოგვეპა მაგაზი



ააათა სურგულაძე

გაზრობის შემდეგ



დილან ტომასი



କୁଳାଳି ରାଜା ପାତ୍ରଶାନ୍ତିର ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପଦାଳି

ნეგზარ გატაცის გახსენება

სამეცნიერო წიგნის „ნერილები გეგმვას“

12 ስეኑዳን, 2018 ዓ.ም

...იმშანად მერამდევნედაც ინფარქტი ჰქონდა გადა-
ტანილი ნუგზარ შატაიძეს, ზუსტად არ მახსოვს, მერამ-
დენე, მახსოვს, ცუდი დრო იყო; ჰო, ის ცლებია, „ცუდი
დროს“ სახელით რომ დამკვიდრდა ჩვენს გაუსარელ
ყოფაში. ნუგზარი ნაინფარქტალია, ზემელით მივდიგართ
ბელინსკის აღმართისკენ, პანაშვიდზე. რაღაცნაირი
სიარული იცოდა, ცხონებულმა, ცალი მხარი დახრილი
ჰქონდა, ნაბიჯის გადადგმისას მუხლს იკუთადა უც-
ნაურად. ასე მივდიოდით ბელინსკისაკენ, დროდადრო
ვასვენებდით, მუქი პირისკანი შეფითრებოდა, არწივის
ნისკარტივით მოკაუჭებული ცხვირის ნესტორებიდან
ხარბად იქტერდა ჰაერს, მაგრამ გამომეტყველება ისუ-
თი ჰქონდა – „ეგ არაფერი, კველაფერი კარგადაა“, –
გამომეტყველება რომ არსებობს... როცა იცი, ადამიანი
შეუძლოდა და იხტიიარს არ იტეხს (თუნდაც ეს შენს
დასანახად ხდებოდეს), პატივისცემის გრძნობა გიმძაფრ-
დება, გული გისათუთდება, კონკრეტული ადამიანიდან
გიყვარდება ადამიანი ზოგადად, რწმენა გეძლევა, სიკვ-
ლილის შვილები ვართ და იმის შემზედველი შენს თავსაც
ხედავ უცილობელი და ყველაზე იღუმალი განსაკლელის
წინ, გეგონება, თავს იმხნევებო. ჩვენი შესვენებებიც
ამას ემსახურებოდა – ნუგზარი თითქოს ცუდად კი არ
იყო, უბრალოდ, არსად გვერქიარებოდა, მივსერნობდით,
დროდადრო თუ ვჩერდებოდით, ამვლელ-ჩამვლელის,
ქუჩის, სახლების დასათვალიერებლად, სხვა – არა-
ფერი, კველაფერი კარგად იყო თითქოს, თამაშის ეს
წესი შემომათვაგა უთქმელად და მეც ავყევი. ნუგზარი
თავიდან კუშტი კაცი მოგეჩენებოდიდა, მაგრამ იშვია-
თად მინახავს, ასეთი სითბო იღვრებოდეს ადამიანის
თვალებიდან. დაშაქრული სხვაა. დაშაქრული – არა,
ეგ ნუგზარს არ ეკადრება და ახლოსაც არა იმასთან,
გაღიმებისას რა ნაღდი, კეთილშობილი, სხივდამდგა-
რი თაფლიც ჩაუდგებოდა ხოლმე თვალებში. სევდაც
ერია მის ღიმილს, საიდანლაც მოუკნავდა – გულიდან,
ცხოვრებიდან, ხელობიდან, თუ თავის დაბადებამდე
ნარსულიდან, არ ვიცი, მაგრამ – მოუკნავდა კი; ჰო,
ასე იყო. სიტყვა გამიგრძელდა, ამპავს დაკუპრულდეთ.

როგორც იყო, მივადექით ბელინსკის ქუჩას, შევიაღმართეთ, შეჩერდა; მეც გავჩერდი. ვატყობ, რაღაცას აკვირდება დაუზინებით, თვალმოუწყვეტლად გავაყოლე მზერა... ბელინსკის აღმართზე, მარჯვენა მხარეს, წლების განმავლობაში იდგა მენაღის ჯიხური იქით იცქირება. როდის-როდის გამომზედა, მოქანება:

— იცი, ირა, რა მინდა ყველაზე მეტად?

- რა, ნუგო?

– ჯიხური მინდა მქონდეს, „საპოზნიკა“ ვიყო, ჩაგური
ჩი, სადგისი, რამე, რაც სჭირდება „საპოზნიკას“. ძველი
ფეხსაცმელები შევაკეთო, ვიჯდე ჯიხურში და ვიყო ჩემი
მთვას, ორი შეური მინდა, ბევრი არაფერი, ერთი ნაჭერი
ყველა, პომიდორი, რამე, კოხტად გაჭრილი, ცოტა პური

და ერთი ბოლო ღვინო, აი, ეგ მინდა ყველაზე მეტად
ნალდად მითხვა... არ ტყუოდა, ფიროსმანს არ
თამაშობდა, საერთოდ არაფერს თამაშობდა; მე რომ
მკითხოს კაცმა, „ საპოვნიკობაც ” არ უნდოდა, პატარა
სივრცეზე ოცნებობდა, თავისი საყვარელი საჯმის კეთევ
ბაზე იმ ერთ ბეწო სივრცეში და ალალად ნამოვნ ორ
ძაურზე, რაც საშუალებას მისცემდა, ყოველდღიურად

ენის გულავი გინეზარი

„ნაგთის სუნით აქოთებულ
ცივ ოთახში დედა ბიჭს აპანა
ვებს. ბიჭი არც ისე პატარაა, ეს
ამბავი, დღესაც, ორმოცდასამ
წლის შემდეგაც არ ახსოვდეს და
არც ისეთი დიდი, რომ შიშველ
დედისა შერკცხვეს...“ ასე იწყება
ნუგზაა შატაძის ერთი შესა
ნიშანავი მოთხრობა – „9 მარტი“
საოცარია, მაგრამ ამ, მრავალ
ჯერ წაეკითხულ წიგნში, რომე
ლიც ჩერს მაგიდაზე დევს, ყველ
ა აბზაცი თითქოს ახალია და
ჯერ წაუკითხავი. ყოველ ჯერზე
მკითხველს ახალი აზრობრივი
გრძნობადი და ესოთეტური ჰორი
ზონტის, ენიბრივი წახნაგის ა
მოულოდნელი ლექსიკური მარ
გალიტის ალმოჩენა ელის.

ვიღაცამ თქვა (თუ არ ვცდები პასტერნაკმა) – ამქვეყნად ნეტი ის ერთადერთი სიახლეა, რომელიც ნამდვილად და მუდმივად ახალია. ამ ნამდვილი და მუდმივი სიახლის საიდუმლო, რომლითაც ნუგზარის პროზაც და მისი პიროვნებაც თანაბრადაა შემოსილი, ქართული ენის წიაღშია მოთავსებული. ახლა ვიქრობ, რომ სამყარო მისთვის ღმერთისგან ნაბოძები საოცარი წიგნი იყო, რომელსაც ქართული ენის გასაღები მოარგო და ხარბად, შეუსვენებლად იკითხა აღსასრულმდე. ძნელად თუ გაგახსენდება კაცს სხვა თანამედროვე მნერალი, რომელიც ასე ექირისუფლა, ემსახურა, ეხარ-ეამეჩა საკუთარ ენას. მისი პერსონაჟების მონუმენტურობა ამოზრდილია არა სიუჟეტის ოსტატური ხვეულებიდან, არამედ განუმეორებელი ენობრივი ქსოვილიდან, რომელიც ფაქიზად, ძუნნად და ზუსტად ასახავს ადამიანისა და ცხოვრების სტილს, ერთი შეხედვით, უფრო ჰედონისტურ-რაბლეზიანური ეთქმოდა, ვიდრე ასეუცური. ნუგზარის მგზებარე თამაღობა, კულინარიული გამომგონებლობა, აზარტული მობილიარდეობა და ცხოვრებისეული სიბრძნე პარმონიულად იყო შეწყმული და შეზავებული ტიტანურ შრომისმოყვარეობასთან.


ხანდახან მგონია, რომ ნუგზარ შატაძე იყო ცოცხალი ხორცებსება აღორძინების ეპოქის ადამიანური ფსიქოტიპისა. ვისაც მოუსმენია მისი ნამღერი „ურმული“, ან უნახავს ზეთში შესრულებული მონუმენტური პანო – „მამალი“ ამაში დამეთანხმება. სამეცნიერო კვლევის უნარი და ფართო ხედვა, რასაც ის ავლენდა ისტორიული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური თუ პალეოაგრონომიული ძიებების დროს, მას აშკარად განასხვავებს ჩვენი, ვიწრო სპეციალიზაციის ეპოქის ადამიანებისაგან.

ერის სულიერ თავგადასავადალს. ამ ენობრივ ქსოვილში ერთმანეთისგან განცალკევებით არ არსებობს წარსული და ანშეკო, ისტორია და დღევანდელობა. აქ მარადიულ მთლიანობაში სახლობენ წინაპრებიცა და თანამედროვენიც. ეს არის მისი და ჩვენი, ენაში გამთლიანებული სულიერი საშმობლო. ეს არის „ხევსურის ხმალი“, „ელიქარი“, „ნოემბრის წვიმა“, „ლოდი“, „სისუა“ და სხვა მრავალი, პირველ რიგში კი, რაღა თქმა უნდა – „ჰურის მოთხრობა“... მოთხრობა უწიდა ავტორმა, თორემ ასეთი ფანრის ნანარმოები სხვა არც წამიკითხავს და რაც მსმენია. მე მგონი, ეს არის სტიქიაში მარადიული საქართველოს ერთ-ერთ უძველეს და მძლავ დილადადრინად დამირეკა, აგა მორჩილაძის „მადათოვი“ თუ წაიკითხე, მე მგონი, ძალიან მაგარი ბიჭა და შენ რას ფიქრობ? იმდენად გახარგებული იყო, რომ ვერ ვკადრე, მეტქვა – ჯერ მძინავს და რა დროს ლიტერატურული დისპეცია-მეთქი. ასეთი აღვრთოვანებული ზარები და სხვათა წარმატებით გამოწვეული გულწრფელი სიხარულის გაზიარება წუგბაზრისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო, რაც, სამწუხაოდ, სულაც არ არის ჩვეულებრივი ჩვენი ეგოცენტრული საზოგადოებისათვის. როცა გერმანიაში მივფრინავდით და ილუმინატორში დიუსელდორფის მახლობლად გამლილი, სანიმუშმდ მოვლილი სასაოფლო-სამეურნეო სავარგულები გამოჩენდა, წუგბაზრმა იყვირა: „ბარაქალა გერმანელებს! დიდი ხალხი ყოველია, როგორ ყვარებითა თავისი

სამინათო მოქმედო ცივილიზაციას, იმ დაკარგულ სულიერ სამყაროს და უფასებიზე ყოფით კულტურას, რომლის გარეშეც ჩვენთვის საშობოლოს განცდა უსრული და ხარვეზიანი იქნებოდა.

როდესაც „ცხელი ძალლის“ სცენარზე ვმუშაობდით, აღმოჩნდა, რომ ნუგზარ შატაიძე პრეზინვალე ფაბულიანტი, დეტექტიური სიუჟეტების გამოგონებელი და დედუქციის უბადლო ოსტატიც ყოფილა. პირდალებული ვუყურებდი მისი ფანტაზიის ლალ და თავისუფალ მიწაზ“ და ტაში შემოჰკერა.

ასეთი რამ მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც შემოქმედი კაცის ადამიანური განზომილება შეესატყვისება და, გარკვეულად, აჭარბებს თვით მისი შემოქმედების მასშტაბს. სწორედ ეს ადამიანური განზომილებაა, რაც ასეთ მნარე მონატრებას იწვევს, თორემ მწერალი ნუგზარ შატაიძე არსად ნასულა, ის ისევ იქ სახლობს, სადაც ყოველთვის სახლობდა — ქართული ენის ნათელ წალში.



ირაკლი სამსონეაშვილი „ნუზიკოლიკ ნუზიკოლიკ“ - რომანი ნიღვებით და უნიღვერ

ამიტომაც მიმაჩნია, რომანი შეუ წელს ზემოთ, ანუ აქეთეკნ საწყისებისკენ, უზარმაზარი ხის განძოლებას ჰყავს, ამ ხის ტანი და ფესვები მეორე ნახევრის ქემოთთა ეს მეორე ნახევრარი დანანილებული ცალკეულ პერსონაჟებში, უსსოვარი დროიდან რომ მოღიან და ერთმანეთთან კავშირით აკონინებენ პირ ველყოფილობას სურათისას, რომელიც მათთვის არავის გადაუდაბა მაგრამ სიტყვებს სიცოცხლემ და წვერმა შემორინახა და იმდენად ენა თესავება განსაკუთრებით მისი შიგა საფეხურები თანამიმდევროვებასა დიდი ფირიც არ გჭირდება, თამა მადა განაცხადო, რომ შემრეულობა აგერ, გუშინ ან გუშინინი იყო და ჩვენ და ჩვენისთანა ათასობით ჩვენ მისთვის არაფერი მიგვიმატებთა მოღიას ეს ცხოვრება დაბადებიდა იმდენად აღჭურვილი, იმდენად შეიარაღებული, იმდენად საწყი იმსაცე ლირიკითაც, დრამითაც ტრაგედითაც, ტყუილ-მართლით ჭირ-ლენით და ასე შემდეგ, რომ ძალიანაც ცეცადოთ, ოუნდაც ერთ ფიორა გამოგონებით წავწიოთ იგნინ, არაფერი გამოგვიგა. მხოლოდ მის ნარსახეობას შევქმნით, ნაირ ფეროვნებას და კიდევ ერთხელ ჩაფიქრდებით წეუბილითაც, ტყი ვილითაც, სიხარულითაც, რასაც შეძლებს ის აღმოჩენა, ასე თამამად და თვითდინებაზე რომაა მიმეგობული რომანში და უდავოდ მწერლი დიდ მგრძნობელობასა და ინტუიციას გვიმტებას.

მოკირკიტე თვალმა თითქმის ყველგან შემახედა ამ რომანში ისეთ შეხვედრებიც მქონდა, როცა უყურებ და ვერ ხედავ, ისეთებიც როცა ხედავ და ვერ უყურებ. ეს შეიძლება ცუდი არ იყოს, ვინაიდა საშუალება არ გეძლევა, ამონურო ურთიერთობა ტექსტთან, საჭროდი იქმნება დაცდა, დაყორნება, ძნელია ერთდროულად გადამუშავდეს მიღებული ინფორმაცია და, ამიტომაც, სხვა დროს დაპირი შესვლი სიტყვერების საუფლოში.

თუმცა, მგონია, ისარი დიდად არ ამიცილებია რომანის ფინანშე ერთ-ერთი სიყუეტური ნატეხისა თვის, როცა ელიმენტი, ლაპერმი მამა, შერისხებით აღსაცე მრისსა ნებით ავალებს თავის ვაჟებს, ისე მოაშორონ ამგვეყნიურობას დაუბადებული შვილის მკვლელი ინანი თითქოს ლეიიური რისხვა დაატყდა მას თავს მების სახით. რჯულის კაცისგან პირდადაპირი ბრძანება სიკოც ცხლის მოსასპობად, თანაც პირად შეურაცხყოფისთვის, შესაძლებელია სულ სხვა სუნის საქმე იყო, მაგრა ექვეშეცნულად მაინც გიჩნდება ეჭვი, რომ ადამიანები, თუნდაც რჯულადმისრულებლები, ზოგჯერ თვად აღსარულებრ მკაცრ სამართლასც კი და არ ელოდებია ლეთიურ განაჩენს, ვინაიდან ის განაჩენი ან საერთოდ არ სრულდება ან ძალიან აგვანებს. ასეთივე მას გალითის მოტანა შეიძლება „გრი გოლ ხანძთელის ცხოვრებიდანაც“ სულგაყიდულმა ცქირმა გრიგოლი მოკვდინება რომ გადაწყვიტა და აბობიქრებული ხალხი მიუჟზავნა მას. გრიგოლმა დილამდე ითხოვა დრო ლოცვისათვის. თუმცა გათენებისას (ცნობილი გახდა, რომ ცქირა ამგვეყნად აღარ იყო. ეს და წინ, მაგალითები გვანან ერთმანეთს, მა გრამ მეტსა აღარ გამოვედებული შედეგებს, ვინაიდან ოპოზიციონერთა ანეულ ცხირებს ლამზს ჩემს ეზოშე შემოსულად ვგრძნობ. მხოლოდ პირ ველზე ვმმბობ, რომ დამოუკიდე

ଓଡ଼ିଆ କୋର୍ପ୍ସ



ივანე ჯავახიშვილის
ერთი ფოგოსერატის
გესახებ

ცნობილია დიდი ქართველი მეცნიერის, ივანეს ჯავახშვილის გატაცება ფოტოგრაფით, მის მიერ გადაღებული ბევრი ფოტო ოჯახის პირად კოლექციაშია დაცული, რამდენიმე მეცნიეროვანებუნები, როდესაც გამოვეცით მისი „საოჯახო ალბომი“, ბევრი ნეგატივი გასამუღლავნებელია და ელის გა-

როგორც ჩანს, ახალგაზრდობაში
ივანე ჯავახიშვილი, როგორც ფოტო-
გრაფი, თანამედროვე პრესასთან თა-
ნამშრომლობდა. მე ეს არ ვიცოდი, თუმ-
ცა, შეიძლება სხვებისთვის ცნობილია,
ამიტომ პირველობას ვერ დაგიჩიმებ,
მაგრამ ერთ საინტერესო ფოტოს და ამ-
ბავს შემოგთავაზებთ. ეს ფოტო დაბეჭ-
დილია „სახალხო გაზეთის სურათებიან
დამატებაში“ (1913წ. 11 აგვისტო). მასზე
გამოსახულია ახალგაზრდა გოგონა და
დედაბერი. ფოტოს ანერია: „110 წლის
საბედო ბზიშვილისა მისა შვ-შვ-შვ-შვი-
ლი. სოფ. ატენის მცხოვრები (გორის
მაზრა).“ გაზიერში ფოტოს ავტორი მითი-
თებული არ არის, თუმცა ირკვევა, რომ
ფოტო ივანე ჯავახიშვილს გადაულია. ამ
ფაქტის დადგრნაში გვეხმარება მარიამ
ჯაბაძაკურ-ორბელიანის „მოგონებები“
და მისი პირველგამომცემელი და კო-
მენტარების ავტორი ივანე ლოლაშვილი.

မარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს განსაკუ-
თრებით უყვარდა სოფლები - ლამისყანა
და ატენი, იქაური გლეხები და ბავშვები,
რომელთა განათლებისთვის, სკოლაც კი
ჰქონდა გასსინილი. მარიამი „მოგონე-
ბებში“ იხსენებს ატენელი გლეხის ქალს
საბედოს, რომლის „მიერ გამომცხვარი-
საჭაპურები და ქადები განთქმული იყო
მთელ სოფელში და ზოგჯერ მეც ჩამო-
მიტანდა ხოლმე ტფილისში“, — წერს
მარიამ ორბელიანი. საბედო ძალიან
მოხუცი ყოფილა, თუმცა მხნე და ომ-
ხიანი. ერთხელაც საბედო თბილისში სწ-
ვევია მარიამს, ქადა-ხაჭაპურები ჩამოუ-
ტანია. მარიამს ახალი ამბავი უთქვამს
საბედოსთვის: „უნდა გენახათ, როგორ
გაუხარდა ამ კეთილ დედაბერს, როცა
უეთხარი, რომ მისა და მისი შვ-შვ-შვ
შვილი თამარის სურათი, გადაღებული
ივანე ჯავახიშვილის მიერ, ამ ცოტა ხნის
წინად მის ატენში ასვლისას, „სახალხო
გაზეთში“ დაიბეჭდა-მეტე. იმ წუთას
იმაზე ბედნიერი არავინ იქნებოდა. მო-
თხრა: „არ ვიცი, როგორ გადაგიხადო
მაღლობა, რომ ასე გამაპატიოსნერ“ (მა-
რიამ კატანგის ასული ჯამბაკურ-ორ-
ბელიანი, მოგონებანი, ლიტერატურის
მატიანე, წიგნ 5, 1949, გვ. 87). აა, ასე
გაირკაა, ვინ ყოფილა „სახალხო გაზეთის
სურათებიან დამატებში“ დაბეჭდილი
ფოტოს აკომირი. ივანე ჯავახიშვილის
უყრადღება ბებია-შვილიშვილის სათ-
ნო გამომეტყველებამ და ალბათ ბებიის
ასაკმაც მიიტცია, საბედო იმ დროს 110
წლის ყოფილა. ამ ფოტოს დედანს ან
ნეგატივს ვერ მივაკვლიე, ამიტომ გაზე-
თდან დასკანერებულ ასლს გთავაზობთ.
ზურაპ გაიკარაშვილი

ელექტრონური გადახრა

ნუარო სინათლისა

ნინ მიდევსა აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანის შესანიშნავი ნაშრომი – „ბერძნული ცივილიზაცია“, რომელიც, არ ვიცი, უკვე მერამდებულ მაქს გადაკითხული და მისი ყოველი წაკითხვისას არ შეიძლება, ახალი მღელაკარებით გულს არ აღელვებდეს ამ წიგნის ყოველი სტრიქონი, განსაკუთრებით კი ის, რომელიც ამ ცივილიზაციაში ქართველური მოდგმის ხალხის როლსა და მნიშვნელობას ეხება. ესაა ოქროს ნამცეცქი ჩვენი ნარსული ისტორიისა და მათი ბრნებივალება არა მხოლოდ ფასეულია როგორც ოქრო, არამედ ისაა წყარო სინათლისა, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციის გაღებულ კარს გვიშუქებს.

ურთიერთობა წინარებერძნულ და შემდგევ ბერძნულ კულტურასთან, ესაა საკუთარი შესაძლებლობის პროექტია, ესაა ლტოლვა და სურვილი, იმყოფებოდე წრეში, რომლითაც შემოსაზღვრულია ძველი მსოფლიოს ცივილიზაცია. აქ დგომას მხოლოდ სურვილი არ შველის... „ყველაფერი მხოლოდ საქმეა“ აკი, ამბობს მოციქული და ჩვენი წინაპრებიც, საქმითა თუ სიტყვით, მიიღონ დამკვიდრენენ, რათა დამკვიდრებულიყვნენ ამ წრეში. დამკვიდრების ეს ხანგრძლივი პროცესი ურთიერთ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, რის კლასურ მაგალითსაც წარმოადგენს გიორგი მთან-მინდელის დაპირისპირება ანტიოქიის პატრიარქთან. ის, რომ ვინმე გაგიღებს ამ შემოსაზღვრული წრის კარებს და გულით მიგიღებს, ფუჭი ოცნებაა და სხვა არაფერი. გრიგოლ ბაკურიანის დანაბარები, რომ პეტრინონის მონასტერში არ შემოეშვათ ბერძნები, იმ მოტივით, რომ „არიან ბჟენებით მძღავრნი და ანგაპარნი,“ ესაა ერთი მსარე ამ ურთიერთობისა, მაგრამ აქვე წარმოადგინონა მისივე თეზა ამ ურთიერთობის აუცილებლობისა: „ნებით ღმრთისაითა ჭეშმარიტისა მართლმადიდებლობისა მათისა მიმდგომნი ვართ და აღმასარებელნი და მონაფენი მათნი“. ბერძნული შემოქმედებითი გენის გვერდით დგომა, მათთან მყოფობა და მონაფენისა, ეს მუდამ დიდი სახელი იყო ჩვენთვის და ესაა ინტერესი, რომელიც შეუძლებელია, არ აღელვებდეს როგორც მეცნიერს, ასევე ჩვენი ისტორიით დაინტერესებულ ნებისმიერ ადამიანს.


სწორედ ამ განცდით სავსება, ამ დღეებში, ბატონი ვალე-რი ასათიანისაგან საჩუქრად მივიღე ბატონი რისმაგ გორ-დეზიანისა და მისი ყოფილი მონაფის ქალბატონ ეკატერინე კობახიძის ახლახან გამოცემული ნაშრომი – „ეჭრუსკები – ანტიკური სამყაროს ტრიტაგონისტები“.

ରୂପଗର୍ବ ନାଶରମିଳି ଶେସାବାଲଶୀଳ ନାଟକ୍ୟାମି, "ସାବା ଏରଟଗ-
ଗାରୀ ଗାଘରଦେଲୁବା ଅନ୍ତିମ୍ୟାଶୀଳ ପ୍ରିୟିଲିଠିଆଫିୟେବିଲ୍ ମି ଶୈରନୋସା,
ରନ୍ଧମଲୀଳି ଆପିରିଜେଲ୍ଲା ସାମି ତ୍ରମିଳ ଡେରକଣ୍ଜୁଲ ପ୍ରିୟିଲିଠିଆଫିୟୋଲା
ମିହିମଦିଲ୍ଲାବନ୍ଦା" । ଶ୍ରୀଜାରମ୍ବ ଅଲ୍ବନ୍ଧିଶ୍ଵର, ସାଥିଗାଫର୍ମିବା କାରାଗାଫ ଇଚ୍-
ନୋବ୍ସ ମି ନାଶରମିଳିବା ଦା ଗାଦାୟକାରିବେଳିଲାକୁ ଶୈରିଦିଲ୍ଲାବନ୍ଦା ଯାଏ,
ରନ୍ଧ ଦାତ୍ରନ୍ଦମା ରିସମାଗମା ମିଳ ମିହିମ ଗାନ୍ଧୀଶ୍ଵର ଶର୍ମମିତ,
ଅନ୍ତିମ ଲ୍ଲାବନ୍ଦି ଦାସଦିଲ ଡେରକଣ୍ଜୁଲ କ୍ୟାଲିଟ୍ଯୁରିଲି ନାରମନ୍ଦିଲିବା
ଦା ଗାନ୍ଧିତାରିବିଲ ବିଶ୍ଵରାମିଲି କ୍ୟାଲେଗ୍ରିଲ ସାକ୍ଷମ୍ଭେସ । ସାବେଶିତ
ପ୍ରକାଶିବା, ରନ୍ଧ କାରାଗାଫ ମିହିମିତିକ୍ୟେଲ୍ସ, ଡେରକଣ୍ଜୁଲି କ୍ୟାଲିଟ୍ଯୁ-
ରିଲ ଗର୍ତ୍ତିବାନି କ୍ୟାଲିଟ୍ଯୁଲିବା ଦା ମିଳ ମିହିମିତିକ୍ୟେଲିଲିବା ଶେସାବେସ,
ଅଶ୍ଵତ୍ତି ସର୍ବଲିଙ୍ଗମିତିକ୍ୟେଲି ଦା ଅନ୍ତାଲି ମିହିମିତିକ୍ୟେଲି ମିହିମିତିକ୍ୟେଲି
ଗାମିନ୍ଦିଲିଲି ନାଶରମିଳି ଏଜାମିଲା ଅର ଶୈରନ୍ଦିନା ।

რაც შეეხება ეტრუსკებსა და მათ ქვეყანას, ეტრურიას, რომელსაც ეს ნაშრომი ეხება, მართალია, ეთნოგური ნა-თესაობა არ აკავშირებდათ ბერძნებთან და ისინი იტალიის ტერიტორიაზე მხოლოდ ძვ.წ. X- IX საუკუნეებში ჩანან მო-სული, სამაგიეროდ, ეტრუსკთა იდენტობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ბერძნულმა გარემომ და „ბერძნულ სამყაროსთან ინტენსიური კონტაქტების დაწყებამ პიძგი მისცა მათ კულტურულ აღმავლობას“. ეტრუსკები აქტიუ-რად ჩაენერონენ ბერძნულ კულტურულ გარემოში, მათგან გადმოიღეს დამწერლობა, კარგად შეითვისეს საზღვაოსნო საქმიანობა, განავითარეს საქალაქო ცხოვრება და მხა-რი გაუსწორეს ბერძნულ კულტურას, თუმცა, არასდროს დაუკარგავთ თავიანთი ინდივიდუალობა და, როგორც კულ-ტუროსანმა ხალხმა, თავისი წვლილი შეიტნა მედიტერანული ცივილიზაციის განვითარებაში. საგულისხმოა ისიც, რომ ეტრუსკებმა დიდი როლი ითამაშეს რომის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, რომლის სამი უკანასკნელი მეფე ეტრუს-კული წარმომავლობისა იყო. ეტრურიის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა აღმავლობამ თავის მნვერვალს VI საუკუნეში მიაღწია, თუმცა V საუკუნისათვის მისი ძლიერება შეირყა, რომის პერმანენტული შემოტევების შედეგად ძვ. წ. 90-88 წლებში საძოლოოდ დამარცხდა და დაექვემდებარა რომაულ სამოქალაქო სამართალს. ეტრუსკების ცივილიზაციიმ ათ საუკუნეზე ცოტა მეტი მოცუა, მერე დატოვეს ისტორიის ასპარეზი და მათი ეთნიკური ერთობა განილია რომაელი ხალხისა და იტალიკური ტომების ერთობაში.

ეტრუსკების ნარმოშობის შესახებ არსებობს რამდენიმე მოსაზრება. ამათგან გაცილებით მეტ ნდობას იმსახურებს ჰეროდოტეს ცნობა, რომელიც მათ ძირებს მცირე აზიას უკავშირებს. ზოგადად მიღებული შეხედულების თანახმად კი ეტრუსკები ეთნოსში რამდენიმე კონტაქტი შეიძლება.

არსებობდეს და ამ კომპონენტში იგულისხმება მათი კავკასიური ძირებიც, რომლის შესახებ ერთ-ერთმა პირველმა თავისი მოსაზრება გამოთქვა ცნობილმა დანიელმა მეცნიერმა ვ.თომიშვილმა. ამ ეტაპზე არსებულ არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, მეცნიერებისაგან გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეტრუსკების ეთნოგრენეზის ჩამოყალიბებაში, ძვ.წ. II ათასწლეულში, მცირე აზიօდან მიგრირებული ტალღასთან ერთად ამ პროცესში მონაწილეობდნენ შავიზღვის-პირეთიდან წამოსული ემიგრანტები.



როგორც ცნობილია, ენობრივი მონაცემები არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, სადაც შემონახულია არ-ქაიის ყველაზე ნათელი ფაქტები. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ცნობილი მეცნიერის, ჯონ ფურნიეს აზრი იმის შესახებ, რომ „ეტრუსკული ენა, მსგავსად პელას-გურისა, არსებით მიმართებას ავლენს ქართველურთან“. ამ მოსაზრებამ თავისი გაშლა და გაფართოება პოვა რისმაგ გორდეზიანის ისეთ მნიშვნელოვან ნაშრომებში, როგორებიცაა: „ეტრუსკული და ქართველური“, „მედიტერანული და ქართველური“, „ნინარებერძნული და ქართველური“. ვიტყვი, რომ ახალი ნაშრომი „ეტრუსკები – ანტიკური სამყაროს ტრიტაგრონისტები“ ფაქტობრივად გაგრძელებაა ამ კვლევებისა და ნარმოადგენს უაღრესად ნარმატებულ მცდელობას, საფუძველი გაუმაგროს ნინარექართველური სუბტრატის არსებობას ევროპული ცივილიზაციის მესა-ძირკვლეთა წიაღში. მე არ გახსლავართ ენათმეცნიერი და არ გავკადნიერდები, რამე შეფასება მიცვე ამ ნაშრომში მოტანილ ენათმეცნიერულ მოსაზრებებს, თუმცა, სიამოვნებით მივაწვდი მკითხველს რამდენიმე ძირითად დასკვნას ბატონი რისმაგ გორდეზიანის ნაკვლევისა, რომელიც ამ მოსაზრებებს ასაბუთებს: მეცნიერის აზრით: 1. „კავკა-სიური, უპირატესად ქართველური ტომების ერთი ნაწილის მიგრაციის შემდეგ ძვ.წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე ეგეიდა ანატოლიის რეგიონში ეგეოსური სუბტრატის ბაზაზე უნდა ნარმოქმნილიყო მინოსურ-დასავლეთანატოლიურ-პელასგურ ენათა ქართველურის მონათესავე ჯგუფი“; 2. „ეტრუსკულის ქართველურთან მიმართებას აქეს სისტემური ხასიათი და იგი ენათა შეპირისპირების ყველა დონეზე ვლინდება“; 3. „ყველა ქართველურ-პელასგურ-ეტრუსკულ ლექსიკურ შეხვედრაში ამოსავალი ქართული ფუძე ჩანს, რადგან იგი აღდგება საერთოქართველური ან ქართულ-ზანური ურ-თიერთობის დონეზე“. ყველა ეს ნინადადება და მათში გატარებული აზრი ეყრდნობა დიდი სკრუპულობურობითა და მოთმინებით (რაც დამახასიათებელია ბატონი რისმაგის ყველა ნაშრომისათვის) განხილულ ენათმეცნიერულ კვლევას და ნაშრომში მოტანილია უმრავი ლექსიკური მასალა ამ შეხედულებათა დასასაბუთაბლად.

როგორც წიგნის შესავალშია ნათქვამი, ნაშრომის ის ნაინილი, რომელიც ეხება ეტრუსკთა მითოლოგიურ წარმო-დგენებს, მათ რელიგიას და სოციალური ყოფის ამსახველ პერიპეტიობს, ეკუთვნის პროფესორ ეკატერინე კობახიძეს. ჩემთვის, როგორც ეთნოლოგისათვის, ეს თემები უაღლესად საინტერესოა, რადგან მიმართა, რომ ადამიანთა ყოფაში დაფარული ელემენტების, ანუ ცხოვრების არააშეარ მო-დელების წარმოჩენის გარეშე, ვერ შევძლებთ, მივიღოთ სრული სურათი გარდასული ყოფის შესახებ. ამ შემთხვევში მითოლოგია და რელიგია, როგორც უფრო ღრმა სვერო ადამიანთა შემოქმედებისა, არ მაქს მხედველობაში, მე ყურადღებას გამახვილებ ადამიანზე, მის ქცევასა და ხასიათ-ზე, მის ისეთ მისწრაფებრებზე, როგორებიცაა ტრადიციის შიგთავსი, მერე – გართობა, სიყვარული, სევდა, ერთგუ-ლება. განა ყველაფერი ეს არ დაგვანახვა პომპეის გათხრე-ბის დაკონსერვებული ყოფის გამომზეურებაშა? ადამიანი ყოველთვის ადამიანი იყო და მასში ადამიანური ვნებები არ მოუტანია თანამედროვე ცივილიზაციას, როგორც ეს ზოგიერთებს მიაჩნიათ. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, მსურს ყურადღება გავამახვილო ნაშრომში მოტანილ ისეთ

დეტალებზე, რომლებიც გარკვეულნილად შეუწყობდა ხელს
მედიტერანულ კულტურაში ქართველური მოდგმის ხალხთა
მონაწილეობის მნიშვნელოვან პიპოთებას.

პირველად შევეხები ქალთა თემას, რომელიც საკმაოდ
ნათლადაა წარმოდგენილი ნაშრომში. ირკვევა, რომ ქალთა
ემანსიპაციის მხრივ ეტრურიაში პრობლემა საერთოდ არ
მდგრადი და ქალის უფლება თითქმის აღმატებულიც კი ყო-
ფილა კაცისაზე. სხვათა შორის, ძველ ისტორიკოსთა ნაწილი
ეტრუსკი ქალების გადაჭარბებულ ქცევებზეც მიუთითებს
თუმცა, როგორც ირკვევა, ამ ისტორიკოსებს კერძო მიზ-
ნები ამოძრავებდათ და მათი გადაჭარბებანი ამ მიზნითაა
გამოწვეული. ფაქტი კი ისაა, რომ ეტრუსკი ქალები არიან
„ძლიერ ლამაზნი,“ რაც უნისონში მოდის ქართველ ქალთა
ცნობილ სილამაზესთან, ისინი ყოველმხრივ „თავისუფალნი“
არიან და აქტიურად ებმებან პოლიტიკურ ცხოვრებაშიც
კი, ესწრებიან და მონანილეობენ გართობა-თამაშობებში
და მიუხედავად იმისა, რომ ეტრუსკი მამაკაცები ოჯახში
პირველები იყვნენ, ისინი დიდ ანგრიშს უწევდნენ ქალის
სიტყვას. ქართული საოჯახო ყოფის შემსწავლელ ეთნოგრა-
ფიულ ნაშრომში უაღლესად ნათლადაა წარმოჩნილი ქალის
უფლება-მდგომარეობა და იგი ხსიათდება ქალის პიროვნუ-
ლი თავისუფლების თითქმის ისეთივე ფორმით, როგორსაც
ამას ეტრურის საზოგადოებაში ვხედავთ. ამ პარალელის
გასაძლიერებლად მოვიტანთ ორ სამკვდრო-სასიკვდილოდ
შებმულ მოშულართა შორის ქართველი ქალისაგან მანდოლის
ჩაგდებით დაზავების ნესს და ასევე ქალის კულტის არნახულ
ფორმას, რომელიც ჩვენს მეტყველების კულტურაშია დამკ-
ვიდრებული. კერძოდ, ესაა დრო, სადაც ქალი ყოველთვის
წინ დგას მამაკაცზე, ასეთია მაგ: დედ-მამა, ცოლ-ქმარი,
ქალ-ვაჟი, გოგო-ბიჭები, ბებია-ბაბუა, ბაბო-პაპა და სხვა.

ეტრურიის მოსახლეობის უაღლესად დამახასიათებელ თვისებად განიხილება აგრეთვე ღვინისა და ქეიფის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული, რაზედაც ყურადღებას ამასებილებრივი ძველი რომაელი ავტორები. ეს იყო იმდენად მოქმედი ტრადიცია, რომ ამ „გადამეტებულმა, გასტროფე-დონისტური ცხოვრების წესმა არ მისცა მათ ოვითშეგნების ფორმირებისა და ოვითგადარჩენის ინსტინქტით გამორჩეული მენტალიტეტის ჩამოყალიბების შესაძლებლობა“. სამწუხაოოდ, ამ ოვისების ტრადიციულობა ერთი-ერთზე ხმიანდება დღევანდელ საქართველოში და, როგორც ისტორიდან ვიცით, წარსულშიც არაერთ ხიფათს გადავიცართ ღვინისადმი მოჭარბებული სიყვარულის გამო. ზოგადად ფაქტი იმის შესახებ, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა და ეს ტრადიციული დამოკიდებულება ვაზისა და ღვინის მიმართ საქართველოდან გაეტანოთ აპენინის ნახევარკუნძულზე მიგრირებულ მოსახლეობას, საკუთხით პოულობს თავის მართებულ ასხანას.

როგორც ნაშრომიდან ვიგებთ, ეტრუსკების სახელი „ტირსენიელი“ ეტიმოლოგიურად დაკავშირებული უნდა იყოს კოშეთან, ციხე-სიმაგრესთან. ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება უამრავ მაგალითს იცნობს სახელდების მატე-რიალური სფეროდან აღმოცენების შესახებ. ცხადია, რომ ტირსენიელების სახელი ისე ვერ გაიგივდებოდა ციხესიმა-გრიან საცხოვრისთან, თუ ისინი ასეთი ტიპის ნაგებობების შენებლობაში განსაკუთრებულად არ იყენებ გამორჩეულნი. ეს მომენტი უნდებულად გაგვახედებს სვანური და რაჭული საცხოვრისისაკენ, რომელშიც გაერთიანებულია საცხოვრი-სისა და დაცვითი ნაგებობის ფუნქცია. როგორც ნაშრომშია აღნიშნული, წინარებერძნულისათვის დამახასიათებელი ტურს/ტრუს, რაც ტირსენიელთა სახელის ფუძეს ნარ-მოადგენს, პარალელს პოულობს ქართულ „დრუსო“-სთან. სულხან-საბას განმარტებით, „დრუსო არს ზღლუდე ქვისა მაღალი, კეთილად ნაგები კოშკოვანი“. აქედან გამომდინა-რე, ვფიქრობ, შესაძლებელია იმის დაშვება, რომ რაჭული „დუროოიანი სახლი“ (ან თუნდაც სვანური) გვერდით და-ვუყენოთ თითქმის მსგავსი ტიპის ეტრუსკულ ნაგებობას და დაუუშვათ მათი ისტორიული ნათესაობის ვარაუდი, როგორც ეტიმოლოგობრივი, ასევე არქიტექტურული კუთხით.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ასევე იქცევს ყურადღებას ეტრუსკების „მაღალყელიანი და აპრეხილცხვირიანი ფეხსაცმელი“, რომელიც რომაელებამდე სცმიათ მათ. აშკარაა, რომ ეს ფეხსაცმელი მათ სხვა სამყაროდან მოუტანიათ. ეთნოგრაფიაში ასეთ ფეხსაცმელს „ჭვინტიანი“ ჰქვია და იგი გავრცელებული იყო, როგორც ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის, ასევე წინა აზიის მოსახლეობაში. აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას აზრით, ჭვინტიანი ფეხსაცმელი ხასიათდება არქაული ფორმით და მისი კველა ელემენტი ხურიტებისა და თეშუბ-ხეთულებისაგან მომდინარეა, მისი ფაქტობრივი იდენტურობა კავკასიურ-ქართულ მასალასთან ყველაზე მეტადაა თვალსაჩინო.

ეს და სხვა, კიდევ ძალზე ბევრი და საინტერესო მეცნიერული პიპოთება, ვარაუდი და მიგნებაა მოტანილი ამ შესანიშნავ ნაშრომში. პირადად მე ძალზე მნიშვნელოვნად მიმართია აქ წარმოდგენილი მასალა ეტრუსკთა მითოლოგიასა და რელიგიაზე, საიდანაც გამოყოფილი მიცვალებულის კულტისადმი მიძღვნილ მონაკვეთს, რომელმაც განსაკუთრებული ასოციაცია გამიჩინა სვანურ ლიფანალის კულტთან მიმართებით.

შალვა საბაშვილი

ნერის გაღალი კულტურისათვის

დღევანდელი პუბლიკაცია დავინუყოთ მცირე განმარტების ბით. ამ ციკლის წინა ნერილის („ლს“ N3, 1.3.2024, გვ. 6) 28-ე პუნქტში, სადაც ვიხილავდი ფრაზას: „მზატვარი სიღარიბეები სიმძიგრეს ამჯობირებს“, // სვეტის // აპზაციის წინ ტექნიკური მიზეზით გამორჩენილია მონაკვეთი: „შევინშნავ, რომ განხილული ნიმუში კერძო შემთხვევა ე.ნ. ამფიბოლითა; ე.ც ცნება გულისხმობს გრამატიკულად გამართულად შედგენილი ზოგიერთი ენობრივი კონსტრუქციის შინაარსობრივორაზრიცხებას“. გარდა ამისა, რადგან ამფიბოლითს შესაძლებლობა უშუალოდ არ უკავშირდება ენის სირთულეს ამ კონტექსტში უადგილოა და ამიტომ ამოსაღები იყო / აპზაციის ბოლო წინადადება არაქართველთა მიერ ქართული ენის სრულყოფილად დაუფლების შეიძლებლობის შესახებ

ახლა კი გავაგრძელოთ ნერით პროდუქციაში ჩემ მიერ შემჩნეულ გრამატიკულ ზუსტობათა გაცნობა.

31. მცდარი ინფორმაციის შემცველი გამოთქმები. ა იგულისხმება ტექსტები, რომლებიც შეიცავენ შეცდომებს რომელიმე კონკრეტული დარღის – ფიზიკის, მათემატიკის, ასტრონომიის, ქიმიის, ბიოლოგიის,... თვალსაზრისით შესაძლოა ასეთი მონაკვეთები არ სცოდვადნენ წმინდა გრამატიკული ასპექტით, მაგრამ მაინც მიუღებელნი არიან ინფორმაციული მცდარიბის გამო – უურნალ-გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიების ძირითადი ამოცანა ხომ სწორ ცნობების მიწოდება! მოვიტან წმიუშებს.

ა „2017 წ. ნოემბერში თბილისში ჰაერის დაბინძურები
მონაცემები, ამ ორგანიზაციის მიერ დადგენილ სტანდარტზე
სამჯერ, ანუ 300 პროცენტით უარესი იყო“. აქ საკმაოდ ძნელია
გავრცელებით, რას გულისხმობენ „სტანდარტი“. საუკეთე
სო მონაცემები ხომ დაბინძურების სრული არარსებობა
ანუ ნულივანი დაბინძურება იქნებოდა! მაგრამ გავითვა
ლისწინოთ, რომ ეს იდეალური შემთხვევა შეუძლებელია
და სტანდარტი გარდაუვალ, მაგრამ მანც ჯერ კიდევ ასა-
ტან დაბინძურებას ვუწოდოთ. ვთქვათ, პირობითად ეს 100-
ერთეულია. „სამჯერ უარესი“ უნდა გულისხმობდეს ამაზე
3- ჯერ მეტს, ანუ 300-ს. მაგრამ 300 მეტია 100-ზე 200-ით
ანუ 200 პროცენტით და არა 300 პროცენტით, როგორც
ზემოთ ეწერა. რაღაც რიცხვის რამდენჯეორმე გადიდება მი-
იმდენჯერ ასი პროცენტით გადიდებას არ ნიშნავს თურმე-
როგორც ეს ტექსტის ავტორს მოეჩენა. ამგვარი შეცდო-
მის თავიდან აცილებას უურნალისტი მარტო გრამატიკის
უნაკლო ცოდნით ვერ შეძლებს – ამისთვის მან ცოტა მეტ-
შრომა უნდა გასწიოს.

ბ) „ოდესმე შემჩნეულ ყველაზე მძლავრ ანთებებს მაგი
ნიტუდით ოთხჯერ ნაკლები წესრიგი ჰქონდათ“. აქ უკვე
ისე აბურღულია სიტუაცია, მეთხველი უბრალოდ ვერც
კი მიხვდება რა სახის ინფორმაციას ანთებენ მას. უფრო
იფიქრებას, რომ ანთებათა განანილების მოწესრიგებაზე
საუბარი. ამ თვალსაზრისით განსხვავდება ერთმანეთი
საგან, ვთქვათ, სამხედროთა მწყობრი და ფეხბურთელთა
განლაგება მატრის რომელიმე ფიქსირებულ მომენტში
მაგრამ რა მოწესრიგებულობა შეიძლება ჰქონდეს კოსმო-
სური სხეულის ანთებას? შეიძლებოდა სხვადასხვა ფერებში
ანუ სხვადასხვა ტალღის სიგრძეებზე ანთების განაწილებებზე
უყრადღების გამახვილება, მაგრამ ტექსტიდან
ნათელია, რომ საუბარია ანთების ძალაზე. ანუ აღმოჩენები
მანამდე შემჩნეულ ანთებებზე ბევრად უფრო ძლიერი
ანთება. მაგრამ რამდენჯერ ძლიერი? რადგან ტექსტიდა
ეს ნათლად არ ჩანს, ჩვენ თვითონ უნდა გავისარჯოთ
ჯერ ფრაზა „მაგნიტუდით ოთხჯერ ნაკლები წესრიგი
ჰქონდათ“ უნდა უკუვთარგმნოთ იმ ენაზე, საიდანაც ეს
ინფორმაცია ითარგმნა ქართულად. თუ ეს ენა რუსული
იყო, დაახლოებით მივიღებთ: „Имели магнитуду на четырех
порядка меньше“. ინგლისურ დედაბნი კი „порядок“-ი
ნაცვლად „order“ იქნებოდა. გავითვალისწინოთ, რომ თი
თოვეულ ამ სიტყვას, რუსულსაც და ინგლისურსაც, გარდა
„ნესრიგისა“, მეორე მნიშვნელობაც აქვს: ესაა „რიგი“ ან
„ხარისხი“. ახლა მიღებული რუსული ფრაზა ხელახლა
ვთარგმნოთ (ოღონდ უკვე სწორად) ქართულ ენაზე. გა-
მოვა, რომ „ოთხი რიგით ნაკლები სიღიდუ“ ჰქონიათ ან
რეკორდულ ანთებებს, და არა „ოთხჯერ ნაკლები წესრიგი“
და უკვე ნათელი ხდება (ოღონდ მხოლოდ მათემატიკური
განათლების მქონე მკითხველებისათვის), რაზეა ლაპა-
რაკი: არა წესრიგისა, ფერებსა და განანილებაზე, არამედ
უბრალოდ, ხარისხზე, ოღონდ მათემატიკური ახარისხები
აზრით (2 კვადრატში ანუ მეორე ხარისხში რომ 4-ია, კუბში
ანუ მესამე ხარისხში 8 და ა.შ., იმედია, საზოგადოების
რაღაც მცირე ნანილს მაინც ახსოვს სკოლის ნლებიდან)
მაგრამ საჯმის არსს რომ ბოლომდე ჩავნვდეთ, უნდა ვი-
ცოდეთ, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში ფიზიკურ
სიდიდეებს გარკვეულ რიგებს მიაწერენ ერთმანეთთან
შედარებისათვის. სახელმობრ:

1 რიგით ნაკლები ნიშნავს 10-ჯერ (ანუ 10-ის პირველ ხარისხშეჯერ) ნაკლებს;

2 რიგით ნაკლები – 100-ჯერ (ანუ 10-ის მეორე ხარისხს ჯერ) ნაკლებს;

3 რიგით ნაკლები – 1000-ჯერ (ანუ 10-ის მეტამე ხარის
ჯერ) ნაკლებს, და ა.შ. მაშასადამე, მოყვანილ წინადაღება
„მაგნიტუდით 4-ჯერ ნაკლები ნესრიგი“ მცდარია – უნდა
იყოს „4 რიგით ნაკლები სიდიდიდ“ („на четырёх порядка“ და
არა „четыре раза“), რაც, უბრალოდ, 10-ის მეოთხე ხარის
ჯერ მცირეს, ანუ 10 000-ჯერ ნაკლებს ნიშნავს. კარგი იქნება
ბოლო ეს ცნება (სიდიდეთა რიგით მკითხველებსაც სცოდნი
დათ და ჟურნალისტებსაც, მაგრამ ეს ალბათ მიუღებელი
(საპუნქტოს მეტყველოს გარდა კიდევ რამდენი პროფილი
მეცნიერები არსებოს!). მაგრამ იმ ჟურნალისტებმა მაინც
რომლებიც მეცნიერების მიღწევათა მიმოხილვებს წერე
წინასწარ რაღაც მინიმალური ცოდნა მაინც უნდა შეიძინოს
შესაბამის დარგებში, რათა ასეთ გაუგებრობებს ასცდნე
თეთრი შურით შემიძლია ვთქვა, რომ ინგლისურ თუ რუსულ
ფართო პეპლიკაზე გათვლილ სამეცნიერო მიმოხილვები
მსგავს გაუგებრობებს იშვიათად შევხვედრივარ.

გ). „ზე 273 კვაზარის გამოსხვევა“ ეს ფრაზა თითქმის წლის ნინ შემჩვდა ერთ-ერთ გაზითში. შეცდომა მართლა კურიოზულია. ამ კვაზარის (კვაზიგარსკვლავური რადიო ყაროს) ნამდვილი სახელია 3C 273. ჩ მიანიშნებს კემპბრიჯი მდგრადი სახელწოდების პირველ ასოზე, ციფრი იმაზე, რომ აქ ამ ობსერვატორიაში შედგენილი კვაზარი თა მესამე კატალოგია მითითებული, 273 კი აღნიშნულ კვაზარის რიგითი ნომერია ამ კატალოგში. უკრნალისტები ციფრი 3 რუსულ ასო 3-დ აღიქვა, ინგლისური C კი – რუსულ ასო C-დ. შედეგად შეცდომებით დახუნძლა ეს მოკლე სახელწიდება. უნდა ვალიარო, რომ მისთვის უაღრესა ძნები იქნებოდა ამნარი ხაფუნგისთვის თავის არიდება. არ დამიმუნათება, ოლონდ ვურჩი რედაქციას – შემდგომა სიფროთხილე გამოეჩინათ და მსგავს ტექსტები წინასწარ სათანადო სპეციალისტებისთვის ეჩვენებინათ.

დ) წმინდა ნინო გარდაიცვალა 338 წლის 27 იანვარს (ძაჭილით 14 იანვარს) კახეთში.

აქ უკვე შეცდომა უკავშირდება კალენდარულ კანონზომიერებათა, კერძოდ წელთაღრიცხვის ძველი და ახალ სტილების ურთიერთმიმართების არცონდნას. შესაძლოა ამ საკითხმა მკითხველიც დაანგერესოს. ძველი სტილი იგივე იულიუსს კალენდარია, რომელიც იულიუს კეისარმა შემოიღო ჩე. 6.-მდე 46 წელს. იგი იყენებს 365-დღიან (მარტივ) და 366-დღიან (ნაკან) წლებს. ნაკანია ყოველ მეოთხე ზელი, რომლის ნომერი უნაშთოდ იყოფა 4-ზე დანარჩენი 3 წელი კი მარტივია, ამიტომ კალენდარულ წლის საშუალო ხანგრძლივობა 365 დღე-დამე და 6 საათ გამოდის. რეალური, ე.წ. ტროპიკული წელინადი კი, რომლი განმავლობაში დედამინა მზის ირგვლივ ერთ სრულ ელიფსი შემოწერს, და რომელშიც ზუსტად თავსდება ოთხი წლიურ სეზონი (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი). 11 წუთით უფრო ხანმოკლეა იულიუსის კალენდრის საშუალო წელინადზე. ამის გამო იულიუსის კალენდარი ოდნავ უფრო ნელა აითვლის დროს, ვიდრე ბუნებრივი ციკლები ამიტომ იგი ჩამორჩება ბუნებას, დაახლოებით ყოველ 13

როგორც ვხედავთ, ძველი სტილის ჩამორჩენა ახალ სტილის მიმართ იკვლება საუკუნეთა მიხედვით, და ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. ყველა მოვლენა თარიღი, რაც კი ჩვენს წყაროებშია მოყვანილი 1918 წლის დღისა.

(ამ წელს გადავიდა საქართველოს საერო ცხოვრება გრიგო-რიშვასის კალენდარზე), ახალი სტილით უნდა გამოისახოს ამ მოვლენის მოხდენის მომენტში არსებული სტილთაშორისის სხვაობის ცვალებადობის გათვალისწინებით. სხვანაირად ბევრი რამ აირევა. ამ საკითხზე არაერთი სტატით მივაძყარი საზოგადოების ყურადღება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდნა, მაგრამ ამ ნიუანსს საქართველოს მოსახლეობისა თუ სამეცნიერო წრეების (და მით უფრო ჟურნალისტების) უმეტესობა დღემდე ჯეროვნად არჩავიდებია. ამის შედეგია მოტანილ ციტატაში არსებული შეცდომაც.

რამდენადმე მსგავსი ხარევზა დაშვებული ერთ უახლეს პუბლიკაციაშიც, რომლის ავტორი სრულიად დაუშვებლად მიიჩნევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების თარიღად 1918 წლის 8 თებერვლის დამკიდიდრებას. მთავარ არგუმენტად მოყვანილია ის ფაქტი, რომ პრესა უნივერსიტეტის გახსნის შესახებ იმავე წლის 26 და 27 იანვარს იუნივერტოდა, როცა „ხეში წყალი ჯერ კიდევ არ იყო ჩამდგარი“, ხოლო 8 თებერვალი უკვე „ხეში წყლის ჩადგომის შემდეგ“ დადგა. ეს „ნინაალმდეგობა“ ანგარიშგასაწევს კი ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში იღუზია. მოტნილი სტრიქონები იმ ხალხურ ლექსს ეხმიანება, რომელიც ხების საგაზაფხულო განახლებას თებერვლის დადგომასთან აკავშირებს. მაგრამ რეალურად სხვადასხვა წლებში ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ თარიღებში შეიძლება დათბეს. **ნამდვილი ორიენტირი გაზაფხულის დღედამტოლობის თარიღია,** როდესაც დღის ხანგრძლივობა დაწერვა და გადასაწრებს დამისას, ეს თარიღი კი სწორედ ახალი სტილის სისტემაშია „დამაგრებული“ (21 მარტზე), ძველი სტილის (იულიუსის კალენდრის) სისტემაში კი ცვალებადის (თუმცა გაცალებით ნელა, ვიდრე ეს იულიუსამდელ კალენდრში ხდებოდა). ორ უკანასკნელ წელთაღრიცხვის სისტემაში ფიქსირებული თარიღები „მოძრაობებ“ წლიურ სეზონთა მიმართ, რაც მათი უმთავრესი ხარევზია. ახალ სტილში კი ეს ხარევზი გამოსწორებულია.

ამას გარდა, ჩვენს ეპოქაში ძველი სტილის 26 იანვარი
და ახალი სტილის 8 თებერვალი რეალურად წლის ერთი
და იგუე დღეა, ამითმ შეუძლებელია ამ „ორ“ თარიღ-
ში ხეგბში წყლის ჩადგომის „ხარისხი“ ერთმანეთისაგან
განსხვავებული იყოს. ამით ზემომოყვანილი არგუმენტი
გაბათოლებულია და უნივერსიტეტის დაარსების თარიღადაც
8 თებერვალი უნდა დარჩეს – ქართული სახელმწიფო ხმე-
ლიდი ხანის უკვე ახალი სტილი კალენდარული სისტემით
ცხოვრობს! ძველსტილოვანი 26 იანვარი კი ამ როლს იმ
მეორე მიზეზითაც ვერ შეასრულებს, რომ მომავალ ეპოქებ-
ში იგი თანდათანობით ახალი სტილის სულ უფრო მზარდ
თარიღებზე გადავა.

ოღლონდ ამ პრიტლემის ყველა ასპექტის მკითხველთათვის დამარწმუნებლად გაშუქება ადვილი არაა და მას ცალკე წერილი დასჭირდება.

32. შეუსაბამო ბრუნვა „შორის“ კავშირთან

პირდაპირ მაგალითი ვნახოთ: „ოფიციალური თბილისია აზერბაიჯანის მუსულმანებისა და საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი მუსულმანების შორის შეულლის ჩამოვლებას ცდილობს ...“. ამ წინადაღებაში ორგანა წერია სიტყვა „მუსულმანების“. რომელი ბრუნვა უფრო შეესაბამება ამგვარ ტექსტს, ამისი ლოგიკური გადაწყვეტა არ არსებობს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთი საუკუნის წინათასეთ შემთხვევებში ხმირად თუ უმეტესინოლად (ან იქნება ყოველთვისაც – ამის დადგენას მთელი იმდროინდელი პროდუქციის შემორჩება დასჭირდება) ნათესავით ბრუნვას იყენებდნენ („კაცისა და ქალის შორის“, ...), ჩვენს ხანაში კი გადადაგდნენ მიცემით ბრუნვაზე („კაცსა და ქალს შორის“). ამჟამინდელი შეგრძნებით, მეორე ფორმა უფრო ბუნებრივია („ძმებს შორის“, „ზღვებს შორის“ და არა „ძმების შორის“, „ზღვების შორის“). იგივე უნდა ეხებოლეს კავშირ „შუა“ („ორ ზღვას შუა ძველისძველად საომარი იყო ლელო“, გ. ტაბიძე). ისე ჩანს, აქ მიცემითის გამარჯვება ჯერ საბოლოოდ არ გაფორმებულა. ასეთივე სიტუაცია უნდა იყოს „მერე“, „იქით“, „გარდა“ და ზოგ სხვა სიტყვასთან დაკავშირებითაც. თითქმის თანაბრად იხმარება „ამას იქით“ და „ამის იქით“, „მას მერე“ და „მის მერე“, „ამას გარდა“ და „ამის გარდა“. „გარეშეს“-თან სხვა მდგომარეობაა – მტკიცედ გამარჯვებულია „ამის გარეშე“, თუ, რა თქმა უნდა, „გარეშე“-ს ერთ-ერთი მნიშვნელობაა „გარდა“, „ქეგლში“ ესა არ დასტურდება – იქ ფიქსრებულია მხოლოდ მნიშვნელობანი : „უცხო პირი“-ს, „მიღმა“-ს და „შტატგარეშე“-ს გაგებით, თუმცა ყოფა-ცხოვრებაში იხმარება აგრეთვე როგორც სინონიმი სიტყვებისა „უამისოდ“ („ამის გარეშე არაფერი გადაწყვება“) და „გარდა“ (... არ ჩანდა არაფერი ცივ და მიღმა-ცხოვრებაში არ შე“ ა. გ. პატია).

ძირულად მდუღების გარემე”, გ. ტაბიძე).
ტერმინს რაც შეეხება: დღეისათვის ქართულში პარა-
ლელურად იხმარება ნაირსახეობანი: „მუსლიმანი“, „მუ-
სულმანი“, „მუსლიმი“. მე პირადად „მუსლიმანი“ მირჩევნია,
ოღონდ მხოლოდ წმინდა ბეკრითი ჟღერადობით. შინაარ-
სობრივ-ისტორიულ-ლინგვისტური თვალსაზრისით საკითხი
სპეციალისტებმა უნდა განიხილონ და დადგინონ ერთი,
სწორი და საკათოდაკლა უწინვეტობა.

სხორი და სვალდებული დახერილობა.
ასე რომ ამ პარაგრაფში რამდენიმე საკითხი გამოჩნდა:
ზოგი სიტყვის მნიშვნელობისა და ზოგიერთ კავშირთან
შესარჩევი ბრუნვის შესახებ. საბოლოო სიტყვა გრამატიკო-
სებმა უნდა თქვან, ან, შესაძლოა ზოგი რამ თვით სამწერ-
ლო ენის რეალურმა პრაქტიკამ გადაწყვიტოს – ორივე ეს
ფაქტორი ანგარიშგასანევია.

ଓମିତର କୋଳାଶୁନୀ

მორნავნები

1.

მორნმუნეს მეძახდნენ. იქნებ ზოგიერთი
დამცნობდა კიდეც, აღმატებული წოდებით
ჩემი სახელი რომ გადაეფარა, მაგრამ ამ
ცივ და მრეშ სამყაროში განა სხვა ხელ-
მოსაჭიდი არსებობდა? ურნმუნოება ხომ
იგივე იქნებოდა, სასტიკ გრიგალში მოყო-
ლილს ტრიალი მინდორი გეძებნა თავშე-
საფრად. ტალასი ის ჩიჩქის, ვინც ვარს-
კვლავთა ცვენას შესწრებია და ძირფასი
ფრაგმენტები ეგულება ჩაყრილი ლაფში,
ურნმუნოება რომ არც გაეკარებიან. ბედზე
კ მოთქვამენ ვაი— ვიშით, თოთქოს ყვავ-
ყორნებს ბაძავენო და ეს ყაშყაში რომ არა,
შავ პეპლებს დაემსგავსებოდნენ. ან იქნებ ეს
სანყალობელი ხმები წუნუნი სულაც არ იყო
და ბედისწერის ჭრიალა ჩარხი საჭიროებდა
დაზეოთას, რომელზედაც მათი ცხოვრება
იჭედებოდა. მე სხვა გზას ვადექი. ლოც-
ვებს არავის გავაგონებდი და ცრემლებსაც
ვმალავდი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა
რნმენას, რომლის მცირედიც რომ მქონ-
და, ხომ მთებს გადავდგამდი ჩრდილიდან
გასაღწევად. მცხუნვარე მზეს შევაჩერებ-
დი, იმ ბებერ თანამეინახეთა ძვლები რომ
გამეთბო, ვისი მიხედვაც დამეკისრა. მე კი
ფარდის თოკები რომ ჩამომეშვა, კარნიზს
უნდა შეეწვდებოდი. კომოდის გადასასწევა-
დაც იმათ ვუხმობდი, ვის მომვლელადაც
ძალაუნებურად ვიქეცი. ჰოდა, რომელი
მორნმუნე მე ვიყავი. ეგ არის, მონყალებას
ველოდი, როგორც ვარსკვლავის გამოჩენას
ცის კაბადონზე. უცხო თემელებმა, ჩვენს
მინას რომ დაეპატრონენ, სულაც გომბოხი
შემარქვეს, რაც მთ ენაზე შემლილს ნიშნავ-
და, უბადერუეკი ბებრუხანების დასამარხად
მტრებს შერის ცხოვრება არჩია.

თუმცა შავტუხას ნათქვამი არ ვირწმუნეთ და სიმძარეც ვიწვნიეთ. თავს ალიონზე დაგეხსნენ ლერწმიანში, როგორლაც რომ მოვიგერიეთ. მან შემდგომშიც გაგვაფრთხილა, წყაროს არ გაეკაროთო. ჭურჭლები პირთამდე ავაესუთ ყოველი შემთხვევისთვის, იქნება ამჟერადაც მართალი აღმოჩნდესო. მართლაც გვიანობამდე მსხდარან ჭანჭრობში, შუალამისას კი გაწილებულებმა მიატოვეს. მიმდებარე ტბორი აზინზღული ჭყაპივთ გატოპეს მთარის შუქზე. თხემით ტერფამდე გაიწუნენ, თანც ნოტიო ბალაბში წოლით ისედაც სველები იყვნენ. ამ მიზეზით ჭაბონს ციებ-ცხელება დამართნიათ, რაც სასჯელად ალუქვამთ და დიდანანს აღარ გაგვეკარნენ. ეს წვრილმანები შავტუხასგან შევიტყვეთ, კარგა ხნის შემდეგ ისუკ რომ მოგვაკითხა და უფსკრულს ალყა შემოარტყითო, გვირჩია.

— კარგი იქნება, ქვემეხებსაც თუ მია-
გორებთ! — დაამატა წუხილით. ეჭვსაც არ
შეიტანდი, ჩვენზე გული რომ შესტყიოდა. ეს

ზედმეტ ხმაურს გამოიწვევდა და ნათქვამი გადაჭარბებული გვეჩევნა. ამიტომაც მხოლოდ თოვებით წავედით. თუმცა ტყვიები ბლომად წავიდეთ, ერთხელ და სამუდამოდ რომ მოგვეშორებინა ეს ჭირი, მაგრამ არა-ფერო მომხდარა. კიდევ დიდანს ვისხდებოდით ბრიყვებივით, კვამლის სურნელი რომ არ გვეგრძნოს სოფლის მხრიდან, ამასობაში პირმინდად რომ გაეძარცვათ. შეკრების დარბაზი (სას ვეძახდით მთავარ ნაგებობას, გარშემო უშველებელი მესერი რომ ჰეონ-და შემოვლებული) ერთიანად გადაბუჯული დაგვხვდა, მინა გადახრუული, თივის ზვინება კი ჩაფერფლილი. სკივრი, სადაც საბრძოლო რუკებს, ჭოვრიტებს, გამადიდებელ შუშებსა და სხვა საჭირო ნივთებს ვინასვდით, ნაცარტუტად ექციათ. იარალის სანციბიც გაეტეხათ და ქვემეხებს და ტყვია— წამალი წაეღოთ. რაც მისაპარი იყო, ყველაფერი გაეზიდათ. საქონელიც წაესხათ და აღარც შავრა ცხენების ლალი ჭიხვინი გაისმოდა გადატრუსულ მინდვრებში. სამდღეში მოვალით, დაებარებინათ და თუ კიდევ დაგხხვდებით, თავ— ბედს გაწყევ-ლინებთ. ქვას ქვაზე აღარ დავტოვებთ და სისხლის გუბებს დავაყენებთ. შავტუხა აღარ გამოჩენილა და მივხვდით, რომ მოგზავნილი ყოფილა. ნდობის მოპოვებაც ამ გეგმის ნაილს შეადგენდა.

განა გასაკვირი იყო, მომთაბარე გადამ-
თიყლები საარსებო არეალს თუ იფართო-
ებდნენ. ჩრდილში ცხოვრებით გატეზებუ-
ლებს მზის გულზე დამკვიდრება სურდათ.
აბა უთავბოლოდ როდემდე ეხეტიალათ.
თანაც ცოლები ქრონიკულად ფეხმძიმედ
ჰყავდათ, რაც ვაჟაუცობის დამადასტურე-
ბელ ატრიბუტად მიაჩნდათ. მშვიდი ლაპა-
რაკი არც შეეძლოთ, როგორც ანჩხლებს
სჩვევიათ, თითქს უსამართლობით ყოფი-
ლიყვენ გატანჯულნი. სიღუსჭირის მზიზ-
ზად ჩვენ მივაჩნდით და უმაღლუ არსებე-
ბად გვთვლიდნენ, მათ უპრატესობას რომ
არ ვაღიარებდით და ადგილს უომრად არ
ვუთმობდით. თუმცა ამ დანაკარგმა წელში
გაგვტეხა. აქტივ- პასივ რომ შევაფასეთ,
გამკლავებას ვედარ შევძლებდით. ამიტო-
მაც გაცლა ვარჩიეთ. როცა ავიძალეთ, პა-
პაჩემი გაჯიუტდა, ჩემი ძვლები ამ მინაში
უნდა ჩაიყაროს. დარჩენის სურვილი კიდევ
ორმა გამოითქვა, რომელთაგან ერთი პა-
პად ეკუთვნიდა განძას, ბავშვობიდან რომ
მიყვარდა, ხოლო მეორე სოფლის მჭედელი
გახლდათ, არსებული მდგომარეობით ყო-
ველოვის უკაყაფოილო რომ იყო და კოპები
შეეკრა. ბერმა შეაგონა, ჩვენც იმავე ელე-
მენტებისგან შევდგებით, რისანაც ეს მინა-
წყალიო. ნახტობადი, წყალბადი და კიდევ
რამდენიმე ელემენტი ახსენა. მშობლიური
ადგილის მიტოვება კი არა, ჩვენი სხეულე-
ბისას მოვიწინდა ისახა.

— ვერაფერს შევცვლით. რაც სესხად გვეძლევა, უნდა შევეღლოთ. გადამთიელება კი ურჯულო ხალხია, წესს არ აგიგებრე! — დასძინა ბოლოს. მაგრამ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, მაშინ წესი შენ აგვიგეო წინასწარ. ხანდახან დილის ლოცვასაც ხომ ვამპობთ შუალამისას, თითქოს მზე უკვე ამოსულიყოს. რა ბევრი ჩვენ დაგვრჩენია, ალბათ ამ ზამთარსაც ვერ გავატანთო. შენი ხელობა იქაც დაგვჭირდება, ახლა მჭედლს მიუბრუნდა ბერი, მაგრამ ზრახვა ვერც მას გადაათქმევინა. რაღა დროს ჩემი მჭედლობაა, ლურსმანს სამსტკალისგან ვეღარ ვარჩევო. მოხუცებს თითქოს ერთობის ფიცი დაედოთ. შეოქმულებს ჰგავდნენ და ვერაფერს შეაგონებდი. შენ ბერი ხარ, დევთის ნებას მინდობილი, გარემობის ცვლილებას დიდად არ განიცდი, ჩვენ კი აქაურობას შევეჩიიერ, მზერა დაგვეშრიტა, გონება გამოვეფიტა და წარმოსახვების-თვისი ძალა აღარ შეგვევსო. ეს სოფელი კი წერილი იყო, მაგრამ არ გავარდებოდა.

მიგვაჩნია სამოთხის სანახებადო. განა სა-
მოთხის სანახებს მეტი დაუცემოდა, ხელები
აღაპყრო ბერმა. ჩვენი სამშობლო სხვაგანაა,
ბერობა კი, პირველ რიგში, სიბერეს გუ-
ლისხმობსო. ნამდვილი ბერი ყოველ წამს
ბერია, განა მხოლოდ დღესასწაულებზეო.
ახლა კი განსაცდელის უამი გვიდგასო. ამ-
ქვეყნად ბერვის გზით იმიტომ გვატარებენ,
იმქვეყნის დამრცებზე რომ გავაღნიოთო. ამ
სიტყვებზე ხელი საცალფეხო ბილიკისეკნ
გაიშვირა. წრილი ძაფივით რომ აჩნდა ფერ-
დობს, რომელიც მოხეტიალე მწყემსებს გა-
ეკვალათ და ორლებით გაულა შეუძლებელი

იყო. საუკეთესოდ აღკაზმული ლაფტებიც ფორჩასალობდნენ ხოლმე, იმდენად ციცაბო მდებარეობა ჰქონდა. მტრის გამოჩენას იქი დან არც ველიდო. თუმცა მანც ვერაფერნ შეაგონა მოხუცებს. ჩვენ აზრს მაინც არ გადავთქვამთ და კერიებს არ მივატოვებთ, განაცხადეს, თითქოს მინა, რომელსაც უძლა მიბარებოდნენ, მოდგმაზე მეტად ეჭვირფა სებოდათ. წასვლა კი არა, იმაზეც ძლიერ დავითანხმეთ, სახლები მიეტოვებინათ და განაპირა კანტორაში გადაბარგბულიყვნენ ერთად მაინც იქნებოდნენ. შებათქაშებულე კედელზე ძველი ფოტო იყო გაკრული, მათი ახალგაზრდობის დროინდელი. მოხუცებს ფარლალა დერეჯანში რომ შევუძხხოთ, ინ ფოტოსთან შედგნენ და კარგა ხანს ფეხი არ მოუცვლიათ. სანამ ჩვენ ავეჯის ავკარგია ნობას ვამოწმებდით, ლოგინების ზამბარებსა და მოწყულ სკამებს ქრისტი გაქონდა. ბერი რი ლოცვას რომ შეუდგა, სანთელი დავანთე უფრო სწორად, ცვილში ამოვლებული ძაფი გეგონება ფორმის ცვლილებით ცხოვრების ცვალებადობას გამოხატავსო. ნელ- ნელა ილედა, მსგავსად სიცოცხლისა.

—მეთქი, მივმართო ბერს. კანტორა გადამ-
თიელებს იქნებ როგორმე დაგათმობინო.
მათი ენა მესმის და იმედი მაქს, სანდოდ
განვიწყობ მეთქი. მან გვერდით გამიხმო,
კარგად დაფიქრდი, ხომ იცი, რომ ეს ძალზე
სახიფათოა, მაგრამ მე მხოლოდ განძას
მადლიერებით სავსე თვალებს ვხედავდა
ეს სათნო გოგონა საყოველთაო უურადღე
ბას იმსახურებდა. იმათ არ ჰეგვადა, ახლა
დიდი მოწინებით რომ სარგებლობენ, გაშ-
ლილი თმით უშმაკის ნათრევს რომ ჰეგვანან
საქმიროები ჭოჭმანით დასდევენ და რასან
მარმარილოს დარ სიშიტვლეს თვალი მოჰკვ-
რეს, ვნებით ანთებულნი მათზე უყოფანოდ.

— თეთრი ბლის ხეებთან დავსახლდებით
— თქვა ბერმა. ასე ვეძახდით შორეულ მიწას, სადაც რამდენჯერმე ვყოფილვარ და მისასაცლელი გზა კარგად დამამახსოვრდა მერე ისინი გზას გაუყენენ და როცა თვალს მიეფარენ, უკან გამოვპირუნდით. ხმას არ-ცერთი არ ვიღებდით. წყაროსთან ქვაზე ჩამოესხედით. ფერდობზე ნახანდრალი სა-ნახების ბზინვა უბადრუუ შთაბეჭდილებასა ახდენდა ჩვენზე, მსგავსად ფარლალალა სახლებისა, გამოჩირკნილ დარაბებს სიორ ყრუ დ რომ აჭრიალებდა. ნისლის გამოისმ- დებით და მარტინ გამოისახლდებით.

ბით, შორ ქარაგებს ზოგან გამჭვირვალე
საფეხნივით რომ ედო, მიდამო უხეში ძაფით
ნაქსოვს დამსგაცხებოდა.

– မორნმუნ္း შარშိ გავხვიეთ! – ჩაი-
ლာပარაကာ განძაေး პაპაမ და ის ორიც თავისი
კანტურით დაეთანხმებ့. გამოვლენილ სი-
ჯრუტეს თუ ნანობდნენ. უცებ მჭედელმა
გულზე ხელი იტაცა და მიწაზე ზურგით
დაენარცხა. ხელის შეშველება ვერც მო-
ვასწარი. ჰულსი აღარ უცემდა. ამ ამბავმა
მოხუცებზე ძალიან იმოქმედა. სიკვდილი-
ბრმა ტყვიას ჰგავდა, ჩვენკენ ნასროლს.
ცოტა ხნით დაგტოვებთ-მეტქი, ვთქვი. მერე
კანტორიდან ურიკა ჩამოვაგორე, გარდაცე-
ლილი ზედ დაკასვენეთ და სასაფლაოს გზას
შევუყევთ. მინას რომ მივაბარეთ, თავ-თა-
ვიანთ ორმოებს გადახედეს. ჩემთვისაც ხომ
არ გამეოთხა-მეტქი, გავიფიქრე, მაგრამ
ეს აზრი მაშინვე უკუვაგდე.

2

დილა რომ გათენდა, შეშის დახერხვას შევუდექი, შემდგომში წვრილ ნაფოტებად რომ დამეპო. ისე ამოვიგანგლე, ფიტულ-თა მთატრავს ჰყავხარო, დამკინეს. სახე და ხელები ყვითლად მქონდა შეღებილი, გეგონება თაფლის თავლია ბილინი გადამ-სხმოდეს. ხელ-პირს რომ ვიბანდი, თავზე ფრინველთა გუნდმა გადამიფრინა. სევდა-ან მწერივს თვალი გავაყოლე. სათვალავი ამერია, თავიდან დათვლას კი ვერ მოვას-წრებდი, ისე სწრაფად მიეფარნენ თვალს. მერე მოსუცები წუნებს მოჰყვნენ. ოლონდა ამ ჯაჯლანა ხალს არ დავმსგავსებოდა, ჭირვეულ ხასიათს რომ ავლენდნენ. რისოვის დარჩი, ტოლჩით წყალს თუ არ მოვგანვდომ, მსაყვედურობდნენ. არ მინდა, რომ მოეშ-ვათ-მეოქი. ჩვენს ამბებს რას ჰეთხულობო, მიწყრბიდნენ, ეგ ჩვენი საქმეა, ფეხებს რო-დის გავფშევთო. ასეთ დავიდარაბაში ვიყავი, სივრცის გამკაწრავი ხმები რომ მომესმა. გეგონება ლიანდაგზე მძიმე შემადგენლობა შემოდისო, დამრეცი ფერდობი უხილავ ბა-ქანთან რომ მიუძღვიდა. ისინი ბევრზე იყვ-ნენ, თვალების ფლვნებითა და მთქანარებით მომავალი. ზანტი სინარნარი მოინევდნენ ჭრელ კაბებში გამოწყობილი ქალები, ბოჩჩე-ბითა და ამინდის შეუსაბამო მზის ქოლგებით აღჭურვილი. კაცები კი აქლებებსა და ცხე-ნებზე შემსხდარი მოჩაქაქებდნენ, რომელ-თა შორის ჩვენი შავრებიც ერია, მორჩილი ფრუტუნით რომ ესახურებოდნენ ახალ-პატრონებს. შთანმთემელი აზია ტალახის მდინარესავით მოიზლაზნებოდა მორიგი სამფლობელოს ასათვისებლად. მოწინავე რიგებს მეომრები შეადგენდნენ, შვილდები რომ მოემარჯვათ და მიტოვებულ სახლებს ფრთხილად ზვერავდნენ. ხანჯლები ზემოთ აღემართათ, თითქოს ლერწმიანი ჰქონდათ გასაკაფი. მოხუცებს კანტორაში შევყევი, მერე კი მტრებთან შესახვედრად გავწიი. წინამდლოლს მარჯვენა ლოყა უკეთ გაე-პარსა. ეტყობა, წვერი ისეთი უხეში ჰქონდა, მარცხენა ლოყას რომ მიადგებოდა, სამარ-თებელი ბლაგვდებოდა. თანმხლებნი პირ-ნი მრჩევლებად მივიჩნიე და პატივცემულ ამაოას თავი დაუკარ.

— დანარჩენები სად არიან? — მომმართა
მკაცრად, თითქოს მისალმება ითაკილაო.

- ალარ დაედგომებოდათ! - უკაპასუხე
გულწრფელად, რომ ჰერონებიდა, ნდობის
მოპოვებას ცდილობს. ბიროტებას ზეიმის
უამი ედგა და მეჯლისსაც მალე გამართავდა.
თავის გამზიდება არ ლირდა. წინამძღოლი
დადუმზე, დანარჩენები კი ხმას ისედაც არ
მოგვიანებენ.

ოღვებდება. — მაგ წაგებას შეეგუენ? — აღმოთქვა
ბოლოს, — ამას ჩვენც მივხვდებოდით. შენ
ის გვითხარი, რისთვის დარჩი? ნუთუ ამის
სათქმელად? ან იქნებ ხარობ კიდეც ჩვენი¹
დანახვით? — დამცინავი ლაპარაკი მელას
ამსგავსებდა, თუმცა ლომს ბაძავდა, მაგრამ
სახე წუმბისკენ მიდრეუებილ ღორს მიუგავდა,
ცას რომ არასდროს ახედავდა, იქ არაფერი
ჰა.

მესაქმებაო.
— მოხუცთა გამო, განსვენება აქ რომ
ინებეს. დიდი დღე ალარ დარჩენიათ. სამნი
იყვნენ. ერთი გუშინ ალესრულა!

- ჩვენთან შეხვედრის არ შეგეშინდა? -
- ხელის აქცევით უგულებელყო ჩემი პასუხი.
- გულმიზე ყალების იმედი მქონდა. ბევრი

მსმენოდა თქვენს დიდსულოვნებაზე!
პასუხი შეიფერა და ქოშინით გამოცრა
კბილებში:

ჯუმბერ სარდლიშვილი

თოვლის მცირის და დაღმართხე
მისრიალებს მარხილი.
დარდი არის ქროლვაში
გულზე მძიმედ დაყრილი.

თოვლის ფერი ნაშალია.

ჰორიზონზე ბურუსი.

თვალში წევთი ცრემლისა,

ყურში ქარის ზუზუნი.

ლერთი სადლაც, ახლოა,

საკუთარ თავს ვშორდები.

ჩემში რაღაც იცვლება.

უმოწყალოდ ვპერდება.

ფიქრს კალთაში ვუზივარ
დალვრემილი თვალებით,
ფეხს საკუთარ თავს ვადგამ,
სტრიქონებად გაფენილს.

ფორმამ ერთად შეერიბა

გრძნობები და აზრები;

თოვა – თროთოლვა გულისა,

აზროვნება – ფანტელი.

რერის ცრემლოსნი უწინეს

ნისლი შეფენდა მთაზე საბალახოდ,
ბორბლების ჭრიალით მიგორავს დედამინა.
არდაბადებული დასტირის მომავალს,
უნდათ, გამითალონ ჩვილისგან თოვინა.

დედის ცრემლიანი კვენსა აკვანს არწევს,
ბაქში სიცოცხლეს მუცელში ემალება.
ხავსიან ქვის ლოდებს უახლებს ჭრილობებს
მინაში ჩამარხული წნაპრის სიმღრა.

დაღლილი სილ ლოკავს სისხლიან ნაფეხურებს,
ჩემშების ტყაპატყუპი ასწორებს მთასა და ბარს.
როდესაც ბრძოლის ველზე ტირიან ქვემეხები,
ქვეყანაზე სიცოცხლეს პატრიონი აღარა ჰყავს.

რთას გულში მეფის

დავარცხნილი დალალები,
ხმები საიქიოდან...
ყურით ბგერას შევეხე და
ვიგრძენი რა მინდოდა.

თითქოს, რალაც აფუთფუტდა,
რაღაც გულში მეტია,
წლებს იქითა სამყაროდან
სიყვარული მეწვია.

სიყვარული მესმის ქალის,
გადარევა გრძნობების,
ღამისა და დღის ალერსი
სარცელზე მომელის,
მაგრამ სხვაა სიყვარული,
სიყვარული მინისა.

ელევ ცაცუა

ცერის აცერისაძე

მე ვერ შევძელი შენი დაცვა ქართა დევნისგან,
მე ვერ აღითქვი ერთგულება, ესოდენ რთული.
მე ვერ მოვედი შენს საფლავთან ვარდებით ხელში
და ვერ შეგთხოვო პატიგბა, ცით გათანგული.
როს არწივები სითამამით გადაიფრენენ,
უკიდესანო ნიალვრები გადმოვლიან,
სევდით ალსავს მოვადგები მე შენს აკლადამას,
დაველოდება ანგელოზებს, როგორც ნიბლა!
მე შენს მკლავებში ვოცნებობდი გამოღვიძებას,
თუმც, დამასწარი სიკვდილი და თან წამიყოლე,
სატრფო დავარგე, აკლადამასთან ვდგავარ ეული.
მკვდრიც ჩემი ხარ, და დავდივირ ახლა სნეული.
სამყაროს გეგმებს ველარ შევცვლი, ეხ, უსუსური!
თუმც, იმის მჯერა, რომ შენი ვარ მე დღესაც, ისევაპა, მოვედი,
სული სულს კლვავ ჩუმად შეეხო.
შენთან ვარ ჩემო, და გაგითბობ სხეულს მე მზისებრ!

რთის გულები

არ შემიძლია, გადავლახო ეს გზა უშენოდ,
არ შემიძლია, შემოგაზღვრო თრობის კედლები,
ყურძნის მტევნებით დახუნდული როგორ კააფორს
ჩემი ნატვრა და ოცნებები თავის ბრუნვადამხვევი.
გაზაფხულისფერს მე ჩავიცვა ამაღასას,
გავეკელუფდები და ვიპოვი სავალს.
ტყეებს გადავალ, შემოვილი მე ალთას, ბალთას,
კონცისფრად წვიმისავს თავისის.
ასი წლის შემდეგ შეხვდები, გულმა მიამბო;
შემომიძარღვი სამოსელს, მეტერდაც რომ მალავს.
და გაიერვებ უკანასკნელ ვარს და დავადადება.

ნინაპარმა, ვითარც ჯილდო,
ზღვა მიბორი სისხლისა.

ჩემს სხეულზე ფრთებად იქცა
საუკუნე ათასი,
ვიფრენ, რადგან ჩემი ქვეყნის
სიყვარული მეძახის.

ჯისულობის არი

ჭიაკონის ალი – მოცეკვავე ქალი...
და რატომძაც გულმოკლული,
და რატომძაც მთვრალი.

მდინარეში ვაგდებ ანექსა,

ნემისის წვერზე ვკიდივარ.

არც მიხმობს და არც მიცინის,

ცრემლის ზღვაში ტივი ვარ.

სადღაც, ტყეში მიგდებული

ხის გამხმარი ტოტივით

ცეცხლი მწვავს და ცეცხლი მდაგავს,

დაგიღალე ლოდინით.

მზე ამოდის? მერე ვისი მზე არის?..

მისაროდეს, როცა სხვისოვის ანათებს?..

ცხრა კარზე და ცხრაკლიტულზე

ვაკაცუნგბ, არ აღებს.

დაგბერდი და სიცოცხლეში

სიყვარულს ვერ ვეღირსე,

ტრიფობით სავსე ქალის თვალში

სხევს მზეს ვხედავ დღეს ისევ:

ჭიაკონის ალი – მოცეკვავე ქალი...

და რატომძაც გულმოკლული,

და რატომძაც მთვრალი.

რაშაცროვი მცენარი

მარცვალ-მარცვალ აკინძული

მზერა, ქარვისფერი,

ვაზის ტოტზე შემომჯდარა

და ქალივით მეტრფის.

ენის წვერზე დავადულ ბადაგი,

რაც ტყიბილა, მათრიბელა რად არის?

ძმაბიჭებში ქიფის მოწყურებული,

ჭიქით ხელში, შემოდგომა მეძახის.

ლევნამივით შემოეხვა ტანი ტანს.

ვინ დაასწრებს არშიყობას ქალის თვალს;

პოეზიას, ლეინის ჯამში ჩავარდნილს,

კაცის ტუჩზე სტრიქონებად გარითმაგას.

ტრიფობით მთვრალი შემოვავექი მთვარეზე,

სუფრის თავში ანგელოზებს გავხედე.

მოწიხილის წყაროს წყალი, ანკარა,

გულებია დახატული წვეთებზე.

მლელვარებას, აზერითებულ ტალისას,

ხელისგულზე მოფერებით დავისვამ,

ჭიქას ჭიქას შევანარცხებ, რქებივით,

თვალს დავატყიბობ მოარშიყე ქალისას.

შემოდგომავ, ხვავიანო,

გამატარე ვენაში,

რთას ცაცუა ცაცუა ცაცუა

შენს ტუჩებზე მსურს მოვწყვიტო
დაშაქრული მტევანი!

მთვრალი ვარ, აზრები ლრენით მომყვებან.

რატომ არ მიცნობენ, მართლა ჩემებია?!..

ზურგით მიმაყუდეს ლობეზე ფეხებმა,

რაც ჩემს ირგვლივ ხდება, ეს მე არ მეხება.

არა, ძმაო, არა, ცხოვრება კარგია!..

მინდა, ერთხელ მაინც თავი უკეთ ვიგრძნო.

საკუთარ აზრებმა ისე გამაბეზრეს

ლამის მოვისროლო ყველა სანაგვეზე.

ლობეზე დაკიდულს ქარი მაფრიალებს,

სახლში წასვლას ვცდილობ, ფეხი უკან მითორევს.

მთვრალი ვარ, აზრები ლრენით მომყვებან,

რატომ არ მიცნობენ, მართლა ჩემებია?!..

შესხი რთმი

მზიანი დამე არ ყოფილია ასე გულგრილი,

ბაგშის იცნებებს შენიდნ არ გამოიუგდვიარ.

დღეს მე პირველად დავინახე ჩემი სისუსტე

და ვიგრძნო, რომ საკუთარ თავს აღარ უნდივარ.

ო, რა ცივია, რა ცივია შენი შეხება,

როცა მაძარცვავე ყი

წიგნილან - „რეაციონალუს გზევანი“

გადაუცევის ტლობა

გადაუწყვეტლივა

05.03.2018. დროდადრო მეუფლება უსიამოვნო, შემტევით განცდა, რომ დღემდე რაც დამინირია (მეტნილად, ლექსები), უცაპედად გაქრა, დაიკარგა, კვალიც აღარ ჩანს იმათი და ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო. ვემორჩილები ამ თვალით უხილავ წნებს და კიდევ ვიწყებ, ვამატებ ერთმანეთს (დაუჯერებლად სწრაფად), გადავარჩევ და შეძარებით უკეთესს ვაქევყნებ. საკუთარი თავისადმი ასეთი უშედავათო მიღიობს როგორლაც ძალას მინერგას. ორი წელია, ოთხმოცავი გადავცდი და ვერ ვატყობ, წერის უნარი დამტკითხოვდეს, სტრიქონებს მოღუნება დამჩრეოდეს. ამას სხვებიც მეუბნებიან და არა მგონია, ყასიდად მამხნევებდნენ. შთაბეჭდილება ამგვარი რჩებათ.

არაერთხელ უკითხავთ, თქვენი დახმარილებიდან რომელი უფრო მოგწონთ, და ვერაფერს პასუხობ შემკითხველებს. მართლაც, არ შემძლია, რომელიმე ლექსი გამოვაცალევონ და დანარჩენებთან უპირატესობა მივანიჭო. ამის უმთავრესი მიზეზი, აღმართ, უჩიეულო, ზღვარდაუდებელი სიმრავლეა. თითქმის შეუძლებად მიმაჩრია, რომ რჩეული შევადგინო. საამისოდ დრო არც მრჩება. მეტადრე იმის გამო ვწუხვარ, ჩანაფიქრის უმრავლესთა ხორცშესმას ვერ ვასწრებ. ბევრი რამე მაქას შუა გზაზე მითოვებული და მენანება, ასევე რომ დარჩეს. ტანხი გამჯდარი უწესრიგობა თანდაყოლილ თვით-სებას ჰვავს და მან საგრძნობლად დამაზიანა. არულობაში საგანგებოდ ჩანიშნულებას ვერ ვაგნებ ხოლმე.

ଆଧୁନିକ ଭାଷାତମାଳ

06.03.2018. ვაკიდან შინ ვპრუნდებოდი. ამ ბოლო დროს სახსრების ტეკილის გამო ფეხით სარული მიტირს. მივედი გადახურულ გაჩერებასთან, რომლის უკან უნივერსიტეტის მეზუთე კორპუსია. ბევრი ლოდინი არ დამტირება. მალე ჩამოდგა ბაგებიდან მომავალი, ახალი, გაკრიალებული ლურჯი ავტობუსი (№ 61). ასვლით კი ავედი, მაგრამ გაძეგილი იყო. ბილეთი ავიღე და კუთხეში მივიჭუჭე. მარცხენა, მოპირდაპირ მხრიდან შემომხედა ასე, ოცდაათ წელს გადა-შორებულმა ქერა, გაცრეცილმა ქალმა.

მაშინვე წამოდგა და მანიშნა, მის ადგილას დაემჯდარი-
ყავი. შეეწუბდი, გავიპრძოლე და კიდევგაც ვუთხარი, ბრძან-
დებოდეთ-მეოქი. არაფრით არ ქნა, კარგისკენ წავიდა და
გაჩერდა. ლია ფერის დალლილი, ნაცრისფერი თვალები
ჰქონდა, სახესა და თმასთან შეხამებული. ტან-ფეხის გარ-
და, ხელის მტევნებიც სანუხად გამზდარი უჩანდა, ლანდი
გასდოდა. ამეტირა. ვინ მოსთვლის, ავტობუსებსა და მეტ-
როს ვაგონებში რამდენი მინახავს მისნაირები. შადლობა კი
გადაუხსადე, როცა ვჯდებოდი.

ირგვლივ სხვები, მასზე უფრო ახალგაზრდები, ბიჭები და გოგოები, არხეინად ისხდნენ, ერთიც არ გატოვებულა. ისევ მისკენ გავაპარე მზერა. თითები გრძელი, წინდის საქსოვი ჩხირებივით წვრილი ჰქონდა იმ ქალს, რომელიც თავდახრილი ჩავიდა. საეჭვოა, ვინმეს მოსწონებოდა ასეთი გაციცენილი არსება ანდა თაგის გაუხარელ ცხოვრებაში თუნდ ერთი სასიყვარულო თავგადასავალი ჰქონდა.

საქართველოში მრავლის უმრავლესნი არიან ასეთი მორჩილად მდგრად შინაბერები, არაფერს სასიცეოს რომ აღარ ელოდებიან. კი მინდოდა, სახელი მცოდნოდა მისი, თუმცა ეს რას შეცვლიდა. თუ მოკლე სანში ისევ შემზღვდა (მხედველობითი მეხსიერება, ზოგ მხატვარს რომ შეშურდებოდა, იმგვარი მაქეს, უნაკლო), უეჭველად გამოველაპარაკები, გავახსენებ, გაჭექილ ავტობუსში როგორ დამითომ ადგილი.

10.03.2018. პატარა-პატარა, მფრინავი თუ მცოცავი მწერების დანახვისას არ შემიძლია, გულგრილი დავრჩე, მათდამი ყურადღება არ გამოვიჩინო. მუდამ ვცდილობ, შესაძლებელი საფრთხე ავაცდინო საცოდავებს. ეს ჩეულება, ეტყობა, სისხლში მაქსე გამჯდარი და ვერასოდეს მოვიშლი.

ზოგჯერ ასეთი რამეც მიიფიქრია – დამდამობით (ეს უფრო ზაფხულის თვეებში ხდება), ჩემს ფურცლებზე დაფრენილ და სწრაფად მოძრავ უმცირეს, უნატიფეს მწერებს როცა გაკეირდები და მათი ქცევების (ხტუნგა, კოტრიალი, ფრენა, გაუჩინარება, ისევ გამოჩენა) აღნუსხვა მინდა, კალმით კი არა, წამახული ნემსის წვერით უნდა ვწერდე; ეს გაცილებით შეეფერება მათ აღნაგობას, უკიდურეს დახვენილობას. სიტყლანე, მელნის წვეთის უეცარი დაცემა ქადალდეზე და დადღაბნა ყოვლად შეუთაგვსებელია ამგვარი სუფთა, უწნაური არსებების ბუნებასთან. თითოეულს კვალში უნდა მივყვებოდე და მათი ყოველი გატოკების უწვრილესად ამოკანვრა შემეძლოს ჩემს ყოველდღიურად გამოსაყენებელ რვეულობში. ნაკლებად მანალვლებს, ასეთ თანირტილობულ,

„პეუანტელისტურ“ ნანერს სხვები ამოკითხავენ თუ არა. მსომ მეცოდინება, რის გადმოცემასა და გაცოცხლებას ვლა მობდა? ჩემი ადრინდელი უამრავი განზრახულობის მსგავსად ვიცა, ეს ჩანაფიქროც განუხორციელებდი დარჩება. თავ ვერაფრით ვინუგეშვებ. ამ იმედგაცრუებასაც შევეგუება.

აქ ისიც მახსენდება – პიკასო ხანდახან, ფუნჯის ნაცვლად, დანის, ჯავაის, ნევერსაც იყენებდა და ნაირ-ნაირ მასალებზე იმით აწერდა ხელს. ნემსითაც უმოქმედია. მისი ნიადაგიძიებელი გონება გამოხატვის ასლით ხერსს ფლობდა და ძნელად წარმოსადგენი გზით შეუქმნია იშვიათი სურათების სტილთა და მეოთხდთა (სრულიად ახლების) გამოგონების მისაფის ჩეცულებრივი ამბავი იყო. ასეთ რამების სხვებიც აკეთებდნენ, მაგრამ მე მათი აყოლა არ გამომადგება.

ხოლმე. იმ ეზოში მარცხენა მხარეს ამაღლებულ პირველ
სართულზე (რკინის კიბის ათიოდე საფეხურია ასავლელი)
ერთი კარგი კაცი ცხოვრობდა – ჩემი ახლობლის, უურნა-
ლისტ გულნარა ბახტაძის ნათესავი, ედუარდ ქუთათელაძე
– სასამოვნო შესახედაობის პიროვნება, მორიდებული, ტან-
მორჩილი. მოღიმარი სახის შესაფერისი, ცოცხალი, მოძრავი
თვალები უელავდა, სამზეოდან ადრე წამსვლელს არაფე-
რი უგავდა. პანია, ნესტოგამიშერილი ცხვირი ოდნავ, იხ-
ვის ნისკარტივით ჰქონდა მაღლა აზნექილი (ისეთ ცხვირს
ხალხში პაჭუას ეძახიან). მოკლედ შეკრეჭილი ულვაშებიც
ლაზათს ჰმატებდა. გამოცდილ, ტყვიადაუცდენელ მონა-
დირედ ითვლებოდა. გულნარამ, ჩვენი ოჯახის მოკეთის,
პროფესორ გივი ბახტაძის ცოლმა მითხრა, მის გვერდით
ერთი მოზრდილი ოთახი გათავისუფლდა, ვიწროდ არიან,
მნერალთა კავშირის მხარდაჭერა სჭირდება, მიდექ-მოდე-
ქი, როგორმე დავეხმაროთ. თამაზ წინივაძე იყო იმხანად
თავმჯდომარე. მასთან რაზედაც არ უნდა მისულიყავი, თუკი
რამე შეეძლო, უარს არაფერზე გეტყოდა. ჩაერია თამაზი
ამ საქმეში, გულთან მიიტანა სათხოვრი და მაღლ საპინაო
პრობლემა ედუარდ ქუთათელაძის სასარგებლოდ გადაწყდა.
გახარებულმა, აღარ იცოდა, როგორ გამოეხატა მადლიერება.
წვეულების გამართვა მოინადინა, მაგრამ თამაზმა იუარა,
ოჯახს ნე შევანუხებთო.

ერთხელ, შუაგული შემოდგომა იქნებოდა, დამირეკა და ჩემთან ამოვიდა სახლში, ჩანთაში ჩადებული, მისი მოკლული გარეული იხვები მომიტანა, დედალ-მამალი. ბუნებას, შეუძარებელ მხატვარს, თავი არ დაეზოგა, აკვარელის უფაჯიზე ი ფერები გამოეყნებინა – მოშავო და ნაცრისფერი რგოლება დაჲყებოდა ფაფუკ ლინღლს; განსხვავება აშკარა იყო წყვილს შორის. ვერ მიაღწიეს საცოდავებმა შეგულებულ, საყვარელ, საჭყამებალათ ტბას. არ იყო ძნელი ნარმოსადგენი – ორ-ლულიანი თოფის ზედიზედმა, ორმა გასროლამ მეხი დასცა გადამფრენებს, ჰაერშივე აყყირავა, თვალები მიულულა და ორივენი კისერმონცვეტილები დაექანენ, მინას დაენარცხენ.

შევწოდი, როცა მონადირემ ისინი ჩანთიდან ამოალაგა და, შემოღებომის ცას მოწყვეტილები, მაგიდაზე სიგრძივ გააწვინა. შეძრა უსულო, ულამაზესი ქმნილებების დანახვამ. ძლვენის მომრომევს ვერაფერო ვუთხარი. ეს, ცხადია, განსაკუთრებული ყურადღების გამოვლენა იყო, მაგრამ მე იმ იხვების გამპუტაცი და, მით უმეტეს, შეძჭმელი არ ვიყავი. ადარც მახსოვო, იმავე საღამოს ვის მივცი, ვისი მადლი მოვისიხი. უნკალოო დახორცილთა გათუჯბა დამზანა.

სამითოდე წელი გავიდა და ერთ დილას გულნარა ბატტა-
ძემ შემატყობინა, ედუარდი უეცრად გარდაიცვალა, გულის
შეტევამ იმსხვერპლა, მინდა, მის გასვენებაში მოხვიდეო.
ამაზე როგორ გავაპილებდი და წავედი. მუდამ ცუდ გუ-
ნებაზე მაყენებს ჭირისუფლებთან მისვლა და მისამიძირება.
დიდ, მისგანვე მოპოვებულ ოთაში ჰყავდათ დასვენებული
ის ჩემი ნაცნობი, მარჯვე მონადირე და კეთილი კაცი. მძი-
ნარეს ჰყავდა. „სიკვდილის ნანაღირევი!“ – მაშინვე გავი-
ფიქრე, როცა სუდარაგადაფარებულის უძრავ, გაყინულ
ნაკვეთებს დავხედე და კუბოს გარს შემოვუარე. სასახლის
გამოტანამდე კი დავრჩი, სასაფლაომდე არ გავყოლივარ
სამგლოვიარო პროცესიას.

ვერ ვიტყვი, რატომ დამამახსოვრდა ასე. ხშირად მიდგას თვალწინი ედუარდ ქუთათელაძის აღალი, გაცინებული სახე. მის მონაცირულ ძველზე ამავე სათაურის მცირე ლექსიც დავწერ, სადაც ფრინიველების გარეგნობა მაქს აღწერილი. დიდ ადგილს არ დაიკავებს და ამიტომაც მთლიანად მოვიტან გულის მოსახებლად იმ იხვებივით დაწყვილებულ ნაღვლიან სტრიქონებს, რომლებიც ბევრს ვერას შემატებს, მაგრამ დაკლებითაც არაფრენ დააკლებს ჩემს აფორიასებულ გონიერაში წამოფორულ უნებლივ გახსენებას:

რა შავ-შავი ნისკარტები ან რა გულისპირი,
საყელონი ნაცრისფერი... გიხსენებთ და ვტირი.

ვეფერები კუდს, აბრეშუმის, წაგრძელებულ კისერს...
ფრთებს, ფართხუნას, ვერ დავხატავ, განვქარდები ისე.

დავცემოდი, გულმოკლული, თვალთა მძინარეთა...
ფიქრი ჩემი, მონრიალე, აგრე ვინ არეტა?

ტბაში ოქროდ ვერ ჩაკიდებთ აპკებიან ნიჩბებს – მოკლე ფეხებს... მოკვდინება სათითაოდ გვიჩვევს.

ვერ იხილოთ ლელიანი, ჭაობების გრილო...
რა წუხილი დამიტოვეთ, განწირულო წყვილო!...

ცოცხლებმა უნდა ვიცოდეთ – ყოველ ეზოს, რომელთაც გვერდით ჩუმად ჩავუვლით, სხვადასხვა დროს ბევრჯერ გადაუტანია გლოვის დღები, თუმცა ცხოვრება ჩვეულებრივ გრძელდება და არაფერს იმჩნევს. რას ვიზამთ, ამასაც ვეგუბით.

ყველაზე უცნაური და შემაშოთებელი ისაა, რომ ამა თუ იმ ადგილს – მოედანს, ქუჩას, სახლს, ეზოს – გადატანილი უბედურებისა და საშინელებისა გარეგნულად არაფერი ეტყობა. ეს განურჩევლიბა, შეიძლება, რაღაცით უკეთესიც იყოს.

2016-01-22 10:20

13.10.2018. ვიდრე მაჩაბელზე მდებარე მწერალთა სასახლემდე მივიღოდე, სარაჯიშვილისული შენობის გვერდით გრძელი, ჭერდაბალი, ჩანგლებული, გვირაბისმაგარი შესავლებისანი ეზოა, საითკენაც ყოველი ჩავლისას გავიხდა.

►► დასასრული. დასახული გვ. 8-9

– ჰეითხე ერთი, რას იგინება! – გაცოფდა განძას პაპა, – განა უკანალი არ ჰყოფნის, ქვეყანა პირითაც რომ არ ნაბილნის? სიტყვასიტყვით უთარგმნე ამ უჯიშო გადამთილს ჩემი ნათქვამი!

მან დაეჭვებით შემოგვხედა. კარი რომ გაიხურა, მოხუცი დავამშვიდე, სიტყვა – სიტყვით უთარგმნე-მეთქი.

– ისე საიდან მიხვდი, რომ გვაგინებდა?

– გინება ყველა ენაზე მესმის! – მომახალა ამაყად, – ავყია კაცი შარში გაგვევევს!

მერე კარგა ხანს ხმას არ იღებდა და ჭროლა თვალები დაჟინებით მომაპყრო.

– შენ ეს განძას გულისთვის გააკეთე?

რას გულისხმობ-მეთქი, მხრები ავიჩერები! – იმას, რომ ჩემთან დარჩი!

– პააჩემიც ხომ მისახედი იყო?

– მერეც შეგველო წასვლა, მაგრამ ასე არ მოიქცი!

არ მსურდა გრძნობებში გამოტყოდმა, ახსა იმისა, რასაც საიდუმლოდ ვიტოვებდი. წამდვილ ტკივილს ხომ ის სიტყვები განსაზღვრავს, როგორიც არასდროს გამოთქმულა.

– პატარები რომ იყავით, შენ და განძა ერთად თამაშობდით. ვტკებოდეთ თქვენი მხარულებით. განა დიდები ბრძნებებან, მხოლოდ ავდებან. ყველა თაობა ომბას, თუმცა ბავშვებს სათამაში ტყვიებს ისვრიან, დიდები – წამდვილს. ვიცი, განძა რომ გიყვარს და ამას იმიტომ გეუბნები. მისი მშობლები ადრე წავიდნები, ისევე, როგორც შენი. ერთურთს ესეც გამსგაესხო. მას შვილივით ვზრდიდა, როგორც შენ გზრდიდა

პაპაშენი. დალოცვილს გევლოთ ცხოვრებაში, მის მეტი არავინ მყავს. არ მსურდა, ჩემი მოვლით ეტანჯა... წავიდეთ ახლა!

– ცეცხლი რომ ჩაქრეს?!

– აღარ დაგვჭირდება!

აღბათ დაძინება იგულისხმა-მეთქი, გავიფიქრე. ფანარი არ აპანთებინა, ყურადღება არ მივაქციოთ. მთვარის ულიმდამი შუქი იმდენი გვინათებდა, სასაფლაოსკენ ბორძიკით გვევლო. მისი მძიმე ნაბიჯები ყრუდ ჩამეშმოდა. ცდილობდა, მხარზე დამყრდნობდა, მაგრამ ისეთი ძალაგამოლებული იყო, ფრინველივით მსუბუქი მეწვენებოდა. როგორც სამარეს მიუჟასლოვდით, სახე გაუნათდა, როგორც ხანგრძლივად მოხეტიალე მგზავრს ემართება ხოლმე მშობლიური სახლის დანახვისას. უცებ შიგნით ჩანაცა და ბელტები ფერხთით მიიხვეტა, გეგონება საბანს ისწორებს. მაინტერესებს, როგორ მოვრყყობით, გაიღიმა. მერე სახე შეეცვალა და მეკაცრად მიბრძანა, განაგრძო.

– ეს ჩემი უკანასკნელი სურვილია, სადაცაა ალვესრულები!

რახან სიცოცხლე უკულმართად წარემართა, ნუთუ სიკვდილიც შესაბამისი უნდა ჰქონოდა. შორს გრგვინვა გაისმა. მოქუფრული ცა მინის წიაღს დაემსგავსა. ისედაც რუხი გარემო სულ ჩამონებლდა და ისეთმა თქეშმა დაცხო, გეგონება დედაბრებს წინდების ქსოვა შეენყიოთ და მხათები დაეშინათ ჩვენთვის. შორიასლონ ნაქს მოვკარი თვალი, ზურმუხტის ზენინით მოკაზმულს. თავებს შესაფრად მშვენივრად ივარგებს-მეთქი, გავიფიქრე.

– წავიდეთ! – ჩავძახე ყურში, მაგრამ ის უკვე სხვაგან იყო. ფანარი რომ ავანათე და

სახესთან მიუუტანე, გამომშრალი თვალებით ცის სიცარიელეს ასცექროდა. გული აღარ უცემდა. როგორ მომხდარში დაგრძნებუნდი, მაჯით ცრემლები მოვინინდე და სველი ბელტებით სხეული დავუფარე. დროდადრო ცაში ისე გრგვინვადა, თითქოს მოულოდნელად გამოჩენილ სტუმარს ეპატიუებოდა საზემი სუფრაზე. გამაყრუებელ ხმაურში ხის სურნელუბა მიმოიჯრება, როგორც გუნდრუების კმევისას იგრძნობა არომატის სიმძაფრე. გაუმჭვირი ნისლი ისე შეგუბდა, გეგონება უხილავ სარკევლიდან შედედებული რებ გადმოლვრილიყოს და როცა ბურუსი რებ ბოლქვებად ახრჩოლდა, ჩემ გარშემო მხოლოდ საფლავის სამი ბორცვილ ჩანდა.

სოფელი საშინელ ღრიანცელ მოეცვა. კარაც, სადაც მსვერსლენირვის ნადიმები იმართებოდა, მეხი დასცემოდა. უცხო თემელები გარეთ გამოცვენილიყვნენ მაშხალებით ხელში და ჩამწვარ კარაგზე უთითებდნენ, ეტყობა, მათი მფარველი გაგვინყრა, ლოცვისას ცისკენ რომ იურებიან. ძირს დამხობილი ხეშებ მინას შურისგებას შესთხოვდნენ. წინამდლოლიც იქ იყო, მშვიდობიან დროს თავს ისტორიულ პიროვნებად რომ ასალებდა, მაგრამ ახლა, სასტიკი ისტერიაში ჩავარდნილს, შემართება დაჟერგვოდა. ძეველის მოლოდ აჩრდილიდა იყო დარჩენილი. გავეშებულ ცას შიშით უმზერდა მწერა ფიქრებს მიცემული და მღვრი თქეშს, სივრცეს რომ დღაბინდა, სველ მათრახებად ალიქვამდა. მგრინი, წამით თვალი მეც მომკრა, მაგრამ განა ჩემთვის ეცდა!

ყალბზე შემდგარი ცენები ისე საწყალობლად ჭიხვინებდნენ, თითქოს მგლებს შორის მოხვედრილიყვნენ. გარეთ იმ მიზე-

ზით დაებათ, თავლა პატივცემული აქლემებისთვის რომ დაეთმოთ. თოვიდან გამოხსნას გულისნამდები ფრუტუნით ლამობდნენ. იმდენად ახლოს მივედი, სველ ფაფარზე ხელით ვეხებოდი. ერთი მაინც რომ მომებელთებნა, დანარჩენები მორჩილად გამომვებოდნენ. უცხო თემელების მორიგი დახმობით ვისარგებლება და დანით თასმები გადავჭერი. ჩემს ირგვლივ ცხენებმა ნრედ მოყარეს თავი, წვემის ფარდა ერთობით რომ გაემტვრიათ. უახლოეს ქურანზე ავმხედრდა და ჭენებით გავაქროლე. უკან მოხედვა არ მსურდა, სანამ გორას არ მივეფარებოდი. სვლას მერე შევანელებდი, ფერდობის გადავლისას, სადაც თავთხელი წყალი მეგულებოდა და ფონსაც ადვილად ვიპოვიდი. დაბლობში რომ აღმოვჩნდი, ჩირთით განვაგრძეთ. მდინარესთან ცოტა ხელოვნებით განვარდნები. სული რომ მომეტევა და გატხოვა ბურუსი და ჩვენებისთვის ყველაფერი მებრძო. იქნებ რაზმიც შეგვედგინა დასაზღვრად, თუმცა იქ სჯობდა გამაგრება. თუკი კი არ გაბის-მეთქი, თავისიანგბათან მიერჩარება. მე ხომ ერთი სული მქონდა, განდას შევხვედროდი და ჩვენებისთვის ყველაფერი მებრძო. იქნებ რაზმიც შეგვედგინა დასაზღვრად, თუმცა იქ სჯობდა გამაგრება. თუკი უკან დახევევად, ცხენები ხომ უკვე მოგვინებდა. ცხენები გადმოლვრილი და გატხოვა ბურუსი და ჩამწვარ კარაგზე უთითებდნენ, ეტყობა, მათი მფარველი გაგვინყრა, ლოცვისას ცისკენ რომ იურებიან. ძირს დამხობილი ხეშებ მინას შურისგებას შესთხოვდნენ. წინამდლოლიც იქ იყო, მშვიდობიან დროს თავს ისტორიულ პიროვნებად რომ ასალებდა, მაგრამ ახლა, სასტიკი ისტერიაში ჩავარდნილს, შემართება დაჟერგვოდა. ძეველის მოლოდ აჩრდილიდა იყო დარჩენილი. გავეშებულ ცას შიშით უმზერდა მწერა ფიქრებს მიცემული და მღვრი თქეშს, სივრცეს რომ დღაბინდა, სველ მათრახებად ალიქვამდა. მგრინი, წამით თვალი მეც მომკრა, მაგრამ განა ჩემთვის ეცდა!

როცა ინათა, შორს თეთრი სეები გამოჩნდა, შმშველი ტოტები პაერში რომ გაეწვდინათ, ბლების ნაცვლად და გადავისოდი.

ამ თვალთა მზერა და თეთრი კანი, როგორც წანერთან თეთრი ფურცელი!

თუმცა დავშორდით... მე მაინც განატრონი!... თავს არ მანებებს შენზე ფიქრები!...

ქარში დავდივარ... და გატხოვა ალობი!

ლექსებს გიძლვნა და ვდნები რითმებში!

დავიკარგე ცხოვრებაში... ვერ მივედი სახლში!

ლექსები მაქვს ფიქრებში, თუმც ვინახავ თავში!

ძველ დროს ველარ მოვუბრუნდი... არ მინდა გასვლა ქარში!

სამყარო მაქვს ნახატებში, რად მინდა თქვენი ტაში!

გავათენებ ყოველ დილას!... გავათენებ ნათელს, მზიანს!..

დამას თევა, უძილობა მომიტება და დიდ ზიანს!

ყოველი დღე უძილობა... რითმებს დავწერ, ვაქცევ ლექსად!...

ტკივილი კი გადაიქცა უკვე ყველა გრძნობის სტრესად!!

ვერ ვარ მე წარმატება, დამთავრდა ჩემი რომანი...

ბოდიში, შეხვედრა მქონდა... მეტად მნიშვნელოვანი!

მე არ ვარ ქუჩის მხატვარი... და არ ვარ მე ხელოვანი!..

აქ ნულარ მომიკაუნები!.. ვერ გავხდი სახელოვანი!

წავიდა ჩემგან ლირიკის მეფე...

და გაქრა ჩემში იმედის სხივიც!...

შემოვრჩი ყინვას საკუთარ თავთან

და ამინდა აქ ძლიერ ცივ!